ყოველდღიური გაზეთი ... წელიწადი მეორე — ფასი 7 კაპ. — ხუთშაბათი, 3 გიორგობისთვე 1916 წ. № 245

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს ... კაპ., ... გვერდზე—10 კ., ... დებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღირ. მეტი. დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

ფასი ერთიოდ დღის: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით 4 თვით—4 მ. 80 კ. 3 თვით—3 მ. 60 კ. 1 თვით—1 მ. 20 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

პროვინციით: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან.

სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 5 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 6—მან.

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე.

ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი ხანდრო შანშიაშვილი.

---

კვირას, 6 გიორგობისთვეს, დიდუბის ეკლესიაში, გარდაცვალებიდან ექვსი თვის თავზე, დანიშნულია წირვა და პანაშვიდი განსვენებულ მგოსან

**იროდიონ ისაკის ძე ევდოშვილ-ხოსიტაშვილის**

სულის მოსახსენებლად, რასაც მწუხარებით იუწყება განსვენებულის ქვრივი მარიამ ხოსიტაშვილისა შვილებით.

---

**საადგილ-მამულო კომისია**

აცხადებს, რომ მისთვის საჭიროა გამოცდილი

**ინჟინერ-მელიორატორი**

წლიურ ჯამაგირად მიეცემა 3,600 მან. ამას გარდა 5%. შესრულებულ საქმეთა ხარჯთ-აღრიცხვიდან და ცალკე საგზაო და დღიური გასამრჯელო.

მისამართი: Тифлисъ. Двор. Депут. Собраніе—Земельная комиссія. (7—211—7)

---

**ხარფუხის საზოგადო კლუბი**

(მიხეილის პროსპექტი № 163, საზამთრო შენობა)

ხუთშაბათს, 3 გიორგობისთვეს,

**სინემატოგრაფი და სიმებიანი ორკესტრი**

პარასკევს, 4 გიორგობისთვეს,

**საზანდარი და სიმებიანი ორკესტრი**

შაბათს, 5 გიორგობისთვეს,

**ქართული წარმოდგენა და სიმებიანი ორკესტრი**

კვირას, 6 გიორგობისთვეს,

**სიმებიანი კონცერტის ორკესტრი**

სტუმრები საზოგადო წესით. (1—231—1)

---




„ფრანციის“ ნომრების ქვეშ, შტაბის ქუჩა.

მოწყობილია ევროპიულ პირველ ხარისხოვან რესტორანების მსგავსად. საჭმელები ევროპიულიც არის და ადგილობრივიც. ყოველ დღე: ხარშო, ლობიო, საცივი, ხაჭაპური, „პიროჟკი“ და სხვა საუზმე. სადილი და ვახშამი. მიუხედავად სანოვაგის სიძვირისა, „ეკონომიაში“ სადილები მეტად იაფია. გამოცდილი მზარეული სადილს კარგად ამზადებს.

სასადილოში არის ნარდი და ბილიარდი

პატივისცემით „კაფე-პარიზის“ წინანდელი მწარმოებელი დიმიტრი უჩ. ?იგიბერია და ნ. გ. ქურთაული (თ. 253)

---

პირველ ხარისხოვანი რესტორანი

**კაფე პარიზი**

ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.

(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)

ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია

ყოველ დღე მზადდება

| | |
|---|---|
| საუზმე | ჩაი |
| სადილები | ყავა |
| ვახშმები | ხაჭაპური |
| | პიროჟკები |

ადგილობრივი და უცხოური სასმელები, კარაქ?ი, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.

პატივისცემით ხილ. ს. გოგიბერია.

---

ქ. თბილისში დაარსდა

**მელნის ქარხანა „ალაროდია“**

ამზადებს საუკეთესო საკანცელარიო მელანს, ალიზარინის ფერისას

პირველხარისხოვან ქარხანა გაჰყიდის მელანს ორ-ორ გირვანქიან ბოთლებით. ლაზარეთებს და სამხედრო დაწესებულებებს შეღავათით დაეთმობათ.

მელანი ახლის გადასაღებადაც (კაპიროვკა) კარგია.

დაკვეთა დაუყოვნებლივ სრულდება

ადგილობრივ თუ გაგზავნით.

მისამართი: თბილისი, ნოსკოვის ქუჩა, № 16, „ალაროდია“. (... —223— ...)

---

ღვინის საწყობი

**ნიკო გ. სესიაშვილისა**

იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი

**კახური ღვინო**

განოვის ქუჩა № 4.

სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა. (185—ტ.)

---

ექიმი

**ფონ-ირტელი**

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9^1/_2$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.

ერლიხის „914“ და „606“

შეზხაპუნება

---

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

**კალანდარიშვილი**

უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

---

ექიმი

**მ. ი. ვარნაძე**

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

---

გოლოვინის პრ. და სასახლის ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

**ახალი აფთიაქი**

პროვიზორის ახვლედიანისა

---

ექიმი

**კ. ი. გვარჯალაძე**

შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15-00.

---

ექიმი-დოსტაქარი

**გ. მ. მუხაძე**

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

---

**შეშის საწყობი**

**ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა**

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა

ყველასთვის ხელმისაწვდომ ფასად

**საკუთარი ტყიდან**

საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც

(103—ტ.) ტელეფონი 5—96.

## შველა სამეგრელოს!

ყაჩაღები გეგენავა, გობეჩია, გაგულია, ქაჯაია და დარასელია სოფელ ქვალონში (ზუგდ. მაზ.) თავს დაესხნენ ჰელიძის სახლს. მოჰკლეს ჰელიძის ცოლი, რომელმაც თავდამსხმელებს წინააღმდეგობა გაუწია.

***

სოფელ ზანში (ზუგ მ.), ყაჩაღმა გვასალიამ და ორმა სხვა ბოროტმოქმედმა ბესარიონ გოგენიას სახლ-კარს ცეცხლი წაუკიდეს და გადაბუგეს.

***

სოფ. [illegible]ქალდუაშში (ზუგ. მაზ.), შეიარაღებული ბორო[illegible]ქმედი მღვდელ ხვიჩია[illegible]ლს თავს დაეცნენ და [illegible]ლეს ყველაფერი რაც ხ[illegible] მოხვდათ.

***

სოფ. [illegible]არშში (ზუგ. მ.), ყაჩაღებმა მოჰკლეს ანდრონიკე გუგუნავა და სასიკვდილოდ გალახეს რომანოზ ფაჩულია.

***

შეძლებული პირები სტოვებენ თავიანთ სახლ-კარს სოფლად და ქალაქებში გარბიან, რომ დაუსჯელად მოთარეშე ყაჩაღებს აგან სიცოცხლე მაინც შეინარჩუნონ.

***

სოხუმ-ზუგდიდის მიმოსასვლელი გზა შესაძლებელია დაიკეტოს, რადგანაც დილიჟანებს წამ და უწუმ თავს ესხმის ყაჩაღთა ბრბო და მგზავრებს სძარცვავს (ქრონიკიდან).

დღე ისე არ გაივლის, რომ სამეგრელოს სხვა და სხვა კუთხეში ან ვინმე არ გაძარცვონ, ან ვინმე არ მოჰკლან, ან ვინმე არ გადაბუგონ. დღე ისე არ გაივლის, რომ ამა თუ იმ კუთხეში მცხოვრებთ აღმაშფოთებელი ზნეობრივი შეურაცხება არ მიაყენონ. ყაჩაღები თავის ქეიფზე აქორწინებენ ახალგაზრდა ქალვაჟთ, თუ მოხუცებულ მამაკაცებსა და დედაკაცებს. ყაჩაღები ძალად ერთმანეთისაგან ჰთიშავენ ხანგრძლივის ოჯახურის ცხოვრებით ტკბილად შეზრდილ ცოლ-ქმართ. ყაჩაღები ფართე შარა გზაზედ ქალებს იჭერენ და აუპატიურებენ. ჟურნალ-გაზეთებში იმის მეასედიც არ იბეჭდება, რაც სოფლად ხდება. არ დარჩენილა არც ერთი მხარე კერძო პიროვნებისა, თუ მთელი ოჯახის ცხოვრებაში, ზნეობრივი, რელიგიური, ქონებრივი თუ ფიზიკური, რომელიც შეურაცხებული, შეგინებული, დაქცეული და განადგურებული არ იყვეს.

შეირყა არსებობის საფუძველი; გადალახულია ყოველგვარი ნორმა, იურიდიული, სარწმუნოებრივი. აუწერელი ამბები ხდება. გამოუთქმელ საზიზღრობასა და საშინელებას აქვს ადგილი დღემარად. ხალხს თავი მოძულებული აქვს. თავდამსხმელ შეურაცმხებელთ განწირული ზვარაკები გულის უკანასკნელ ფეთქვამდე ებრძვიან, ნამუსისა, ქონებისა და სიცოცხლის შესანარჩუნებლად! ამ შეტაკებაში მომხდური და დამხდური ერთმანეთს ანადგურებენ, ხოცვენ და სწყვეტენ. ოხრდება ყველაფერი და ნიავდება. ვისაც შეძლება აქვს, სოფლიდან უკანმოუხედავათ გარბის. ვისაც არა,—იგი რჩება უმწეოდ ღვთის ანაბარა და ულხინო წყვეტებაში ჰკარგავს ყველაფერს, ყველაფერს ეთხოვება! ქრისტეს ტირილია სამეგრელოში. გოდებაა და გულის მწუხარება უაღრესი, უნუგეშო. დაირღვა კავშირები, რომელნიც დღემდე ცხოვრებას ბუნებრივ კალაპოტში ატევდნენ და ადამიანის სიცოცხლესა და საქმიანობას, აზრსა და შინაარსს აძლევდნენ! ქვეყანა ძირს დაექანა. მდგომარეობა მეტად სერიოზულია. ყველაფრიდან სჩანს, რომ ეს ანარქია თანდათან იმატებს, თანდათან გაფართოვდება და გაღრმავდება; საცაა საზოგადოების დამშლელი ინსტიქტები შეუდავებელი ბატონობის ტახტს დაიმკვიდრებენ და მაშინ ნახეთ ჩვენი ქვეყნის ბედშაობა, მისი ტრაღედია! არავინ აქცევს ამას ყურადღებას; გაზეთის მკითხველი ქრონიკის განყოფილებაში ამოიკითხავს გულშემზარავ ამბებს, ერთს აღშფოთდება და მორჩა და გათავდა! ჟურნალისტი ამ ქრონიკას თემად გამოიყენებს, დასწერს რამდენიმე წერილსა, იცხარებს მწვავედ, ამით მოიხდის მოვალეობას. დასცხრება და მერე სხვა თემაზე გადავა, სხვა გუნებას „შეიმუშავებს!“ მაგრამ სამეგრელოს რა? ანარქია და ხოცვა-რბევა სამეგრელოში ამით არა სცხრება; განსაზღვრული პირობებით გამოწვეული, ეს ანარქია მატულობს და იზრდება იმის კვალობაზედ, რამდენადაც დროთა განმავლობაში თვით ეს პირობები უფრო და უფრო მტკიცდება, რამდენად უფრო იტვირთება და მდიდრდება მატიანე წინად ჩადენილ ბოროტ-მოქმედებით! მერე რა, რომ გაზეთის მკითხველი აღშფოთდა და დასცხრა, მერე რა რომ ჟურნალისტმა კალამი თვის ნაღვეღში ჩააწო და წერილი დასწერა?! ამით რა დააკლდა იმ ბოროტ მომქმედს, იმ კაცის მკვლელს, იმ ნამუსის ამხდელს, რომელიც ტყეში ზღვრივით დაწრიწის, რომელსაც გაზეთი შეიძლება თვალითაც არ ენახოს და რომელიც დაბეჭდილ ქაღალდს კი არა, ამოწვდილ ხმალსა და გამოსროლილ ტყვიას არ შეუშინდება?! გულუბრყვილობაა, გულუბრყვილობაა ვიწამოთ, რომ ამ გზით საქმეს მოევლება და სამეგრელოც გადაშენებას გადარჩება!

მთავრობის იმედით ყოფნა სრულიად უსაფუძვლოა.

მან ვერ შესძლო დაესწრო ამ აწ უკვე შექმნილ მდგომარეობისათვის და დროზედ შეეკავა მისი წარმოშობა. ამ გაჩაღებულ ანარქიის წინაშე მთავრობამ ტემპერამენტსა და საზოგადოებრივის მეთოდიურობით ბრძოლის წარმოებას ვერ შესძლებს. ეს უცხოა მისი ბუნებისათვის. როცა მოიცლის, მთავრობა ცეცხლითა და მახვილით მოისურვებს საქმის გასწორებას. იგი ძალაუნებურად ნაცად გზას დაადგება; დამსჯელ რაზმებსა და ექსპედიციას მიმართავს და სოფელ-სოფელ ეგზეკუციას ჩამოარიგებს. აბა ერთი მაშინ ნახეთ, რაც უბედურება დატრიალდეს სამეგრელოს თავზე, რა შავი დღე გაუთენდეს მეგრელის ოჯახს! ეგზეკუცია ოჯახში ჩაუსახლდება მშიერს, მწყურვალს და დაძაბულ მეგრელს და შეიქნება საშინელი სურათი კონტრასტისა: ერთის მხრივ, ოჯახის ახალი „წევრის“ გულმხიარული გუნება, მეორეს მხრით ძველი წევრის გლოვით დასერილი გუნება!!.. ეგზეკუცია! ეს იქნება ახალი და ბევრად უფრო საშინელი უბედურება, ვიდრე ყაჩაღთა დღევანდელი თარეში! ამას მოჰყვება იგივე ეკონომიური განადგურება მხარისა, იგივე შებღალვა დედაკაცთა ნამუსისა, მხოლოდ უფრო საფუძვლიანი. ეს ძალაუნებურად მოხდება, თავისთავად და წინააღმდეგ მთავრობის ყოველი კეთილი სურვილისა, ეს მოუთავებს სამეგრელოს. ეს გზა და ეს საშუალება საბედისწერო იქნება, პირდაპირ გამანადგურებელი. ყოველის ღონით უნდა ვეცადნეთ, რომ ასე არ მოხდეს.

სამეგრელოს ანარქიასთან საბრძოლველად ჩვენი საზოგადოებრივი ძალა და თაოსნობა უნდა გამოვიდეს.

ქართველმა ინტელიგენტებმა და საზოგადო მოღვაწეებმა კაბინეტებს უნდა თავი გაანებონ და ტალღად მოედონ მთელ სამეგრელოს. ძლიერი და ენერგიული პროპაგანდა უნდა მოეწყოს; ყოველ სამამასახლისოში უნდა საჯარო კრებები გაიმართოს; სოფელს ხმა უნდა მივაწოდოთ, ბროშურები დაურიგოთ. დავანახვოთ ჩვენი თანაგრძნობა და დავარწმუნოთ, რომ ძარცვა გლეჯას, თარეშსა და რბევას ებრძოლოს მთელი შეგნებული ქართველობა, შევმატოთ ხალხს მხნეობა და ზნეობრივი სიმტკიცე. მაშინ მოთარეშენიც წელში გაიდრიკებიან.

უნდა ვეცადნეთ, თვით ტყეში გაჭრილ ყაჩაღებსაც ხმა მივაწოდოთ. მათთან მისვლის საშუალება ვიშოვოთ. მათში ბევრია ისეთი, ვინც ოჯახის უმწეო მდგომარეობას და ოჯახის დამშევის შიშს ყაჩაღში გაუჩერებია და ჯარში გამოცხადება ორი-სამი დღით შეჰგვიანებია, რაიცა გამოუსწორებელ დანაშაულად წარმოუდგენია და ტყეში გაქცეულა; შემდეგ და შემდეგ-კი გარემოების ლოღიკით და ძალდატანებით ნამდვილ ყაჩაღად გადაქცეულა. დღეს ასეთი პირები ჯარში სიამოვნებით წავიდოდენ, მაგრამ ვერ ბედვენ, გადიდებული შიში აქვთ. ვის ჩამოხრჩობისა ეშინია, ვის გაროზგვისა. ამ თავისებურ გარემოებას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. ქართველი მოწინავე საზოგადოება უნდა ჩადგეს მთავრობასა და ამ უნებურ ყაჩაღებ შორის და შეეცადოს რაც შეიძლება უმტკივნეულოდ მოახდინოს სამეგრელოს მდგომარეობის ლიკვიდაცია. თორემ, როგორც ზემოდ ვსთქვით, შეიძლება მთელი სამეგრელო ისე გაფუჭდეს და დაირბეს, ისე დაძაბუნდეს ფიზიკურად და ზნეობრივად, რომ მის აღდგენას და ფეხზე დადგომას რამდენიმე ათეული წელი მოუნდეს. სამეგრელო საქართველოს ერთი უფხიზლესი კუთხეთაგანია. მეგრელობა მარჯვე და მომქმედია განსაკუთრებით თანამედროვე ეკონომიური საქმიანობის სარბიელზე. გაუფრთხილდეთ მას! დანაშაულია ქვეყნის წინაშე, რომ სამეგრელოს შველა შეიძლებოდეს და შველით კი არ უშველოთ! უნდა ყოველი ხერხი ვსცადოთ, უნდა ყოველი საშუალება ვისაშუალებოთ, რომ განსაცდელისაგან ვიხსნათ ჩვენი სამშობლოს ეს ნაწილი.

თუ მეტი ნათესაობა აქ მოსატანია, უპირველესად ხმა მეგრელთა ინტელიგენციამ უნდა ამოიღოს, უპირველესად მაგალითი მან უნდა გვაჩვენოს!

გ. გაშაძე.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

გუშინდელ ოფიციალ დეპეშის ცნობით, რუმინელები იძულებულნი გამხდარან მდ. ქიუზე დაეტოვებინათ სოფ. ბუმბეშტი და უკან დაეხიენათ. სოფ. ბუმბეშტი მთის ძირას მდებარეობს. აქედან უკვე გაშლილი ველი იწყობა. დეპეშაში ისიცაა ნათქვამი, რომ მდ. ალიუტზედაც ავსტრიელების გაშმაგებულ იერიშების შემდეგ რუმინელებს სამხრეთით დაუხევიათ. მდ. ალიუტა მთელ ვალახიას სწორე ხაზით სჭრის და უერთდება მდ. დუნაის ქ. ტურნუსთან. მდ. ქიუზე დაწყებულ მოქმედებას ჩვენ ყოველთვის დემონსტრაციის ხასიათს ვაძლევდით. მაშინაც კი, როდესაც რუმინელები წინ მიდიოდნენ და ავსტრიელები უკან იხევდნენ, ვიცოდით და ვსწერდით, რომ ამ გზით სვლა რუმინელებს უფრო გაჭირებაში ჩააგდებდა. პირ-იქით, რაც შორს შეიჭრებოდა რუმინეთის ჯარი მდ. ქიუზე, მით უფრო ხელსაყრელი იყო ფალკენჰაინისათვის. ჩვენ გვაკვირვებდა ზოგიერთა სატახტო გაზეთების სამხედრო მიმომხილველთა აზრი, ვითომ რუმინელების წინსვლა მდინარე ქიუზე ერთგვარი მუქარა ყოფილიყოს ფალკენჰაინის მთელ იმ ჯარისა, რომელიც ტრანსილვანიაში მოქმედებს. საიდან და როგორ, ეს ჩვენთვის და, მგონი, მათთვისაც გამოურკვეველი იყო?!

ალიუტაზე გამარჯვებას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს. მნიშვნელობა არა თავისით, დამოუკიდებლად, არამედ როგორც დამხმარე ასპარეზი მდ. ტურგულუაზე და პრახოვაზე გაჩაღებულ ოპერაციისა.

მდ. ტროტუშზე და ოიტუზზე რუმინელებს ავსტრიელების იერიშები მოუგერებიათ. ჩვენ ამ მიმართულებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვაძლევთ, რადგან, როგორც გუშინდელ ჩვენ მორიგ წერილში ვამბობდით, სწორედ ამ გზით შეუძლია მოპირდაპირეს გამოვიდეს მდ. სერეტზე და დაეშოს ფოქშერის ველზე.

დობრუჯაში, ოფიციალი დეპეშის ცნობით, მდგომარეობა უცვლელია. არც ახლაა ცნობა შესახებ იმისა, თუ რა ქნეს რუმინელებმა, გადარეკეს მარცხენა ნაპირზე გადმოსული ბულგარელები, თუ მაკენზენმა ჯარი დროზე მიაშველა და იხსნა როგორც ბულგარელების რაზმი, ისე ჩერნოვოდის ხიდი განსაცდელისაგან.

X.

# ომის დეპეშები

**2 გიორგობისთვე.**

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. მდ. ნარაუვკაზე; სოფ. ლიპიცადოლნაიას და სვისტელნიკის მიდამოებში, ზვერვა სწარმოებს და ზარბაზან-ყუმბარის მტყორცნელთა მოქმედებაა. ტყიან კარპატებში ვორნიკის მიდამოებში და პნევის მთის სამხრეთით მტრის შემოტევა სროლით მოვიგერიეთ.

**კავკასიის ასპარეზზე** არსებითი არაფერი მომხდარა.

**რუმინეთის ასპარეზი.** ტრანსილვანიაში, მდ. ტირგულუის ველში მტრის იერიშები მოვიგერიეთ. მდ. ალიუტის ველში მოპირდაპირემ დაჟინებულის იერიშებით რუმინეთის ჯარს უკან დაახევინა. მდ. ქიუს ველში მოპირდაპირემ აიღო სოფ. ბუმბეშტი.

**1 გიორგობისთვე.**

**ლონდონი.** საღამოს ოფიც. ცნობა. მტერმა ძლიერი სროლა ასტეხა ზარბაზნებით ლებესა და ოკურ-ლებეს მიდამოებში.

**პარიზი.** ინგლისის 7 საფრენმა ყუმბარები დაუშინა სანკტინბერგის ქარხნებს, საარბრუკეს ჩრდილო-აღმოსავლეთით მდ. სარას მიდამოებში.

გერმანელების 2 საფრენმა ფილფორს ყუმბარები დაუშინა ღამე. დაიჭრა 5 მცხოვრები.

**ლონდონი.** ინგლისის მფრინავებმა დოირანის ბრძოლის ხაზი დაზვერეს და მტრის სამი საფრენი იძულებული გახადეს ძირს დაშვებულიყო.

მესოპოტამიაში 25 ღვინობისთვეს ჩვენმა 2 მფრინავმა მარჯვეთ დაუშინა ყუმბარები ეფრატზე, ნაზირიეს აღმოსავლეთით 45 ვერსზე ალენში დაბანაკებულ ოსმალთა გაწრთვნილ ჯარს.

**ლონდონი.** დღის ოფ. ცნობა. საფრანგეთის ასპარეზზე, ლებე-გედეკურის არე-მარეს მოპირდაპირე მედგრად უშენდა ზარბაზნებს მთელი ღამის განმავლობაში. არმანტიერის სამხრეთ-აღმოსავლეთით მტრის სანგრებში შევიჭერით.

**ლონდონი.** ოფიც. ცნობა ეგვიპტეში მოქმედებისა. მაგდაბარში მტრის ბანაკს ჩვენი მფრინავები თავს დაესხნენ და დიდი ზარალი მიაყენეს. ბირსალამში ორფუთნახევრიანი ყუმბარა ჩამოაგდეს ჰაეროპლანიდან და საფრენი „ავიატიკ“-ი დაუზიანეს. ჩვენი მფრინავები უვნებლად დაბრუნდნენ.

**2 გიორგობისთვე**

**რომი.** იტალიელების ოფიც. ცნობა. 29 ღვინობისთვეს მტრის საფრენთა მთელი რაზმი თავს დაესხა პადუის და ყუმბარები დაუშინეს. დაინგრა სახლი, სადაც დედაკაცები და ბავშვები შეხიზნულიყვნენ. ბევრი მსხვერპლია. ჯერ 60 მოკლული ნახეს.

**ლონდონი.** საღ. ოფიც. ცნობა. ძლიერ გამაგრებული სოფელი სენპიერ-დე-ვიოზი ავიღეთ. 3,300 ზე მეტი დავატყვევეთ.

**ლონდონი.** ლლოიდის ცნობებით, ინგლისის გემი „კაპუნტა“ დაუღუპავთ.

**რომი.** ვატიკანის ნამდვილის ცნობებით, შეერთებული შტატები, ესპანეთი და ვატიკანი საერთო ძალით შეეცდებიან, რომ ბელგიელები გერმანეთში აღარ გადაასახლონ.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

## რუმინეთი.

**მაკენზენის მოქმედება დობრუჯაში.**

ამ რამდენიმე დღის წინად ბუქარესტიდან დეპეშამ გადმოგვცა, რომ მაკენზენის ჯარმა დასწვა სოფლები დაიანი, გერლიჩი, რახმანი და ჰადარი. ხოლო მთავარსარდლის შტაბი კი იტყობინებოდა, მოპირდაპირემ ქალაქი გირსოვო დასწვაო.

ამ ცნობების გამო „ბირ. ვედ.“ სამხედრო მიმომხილველი **ქ. შუმსკი** სწერს: ამ დამწვარ სოფლებიდან სოფელი დაიანი გირსოვოს ზევით მდებარეობს 22 ვერსის მანძილზე, ჩერნოვოდიდან კი 60 ვერსზე. ეს სოფელი დუნაის პირად არის. როგორც ეტყობა ყოფილა ისეთი მომენტი, როდესაც მოპირდაპირე ჩერნოვოდიდან კიდევ ზევით წასულა 60 ვერსზე, სოფ. დაიანამდე და შემდეგ ისევ უკან დაბრუნებულა. გზა და გზა სოფლების გადაბუგვა იმას ჰმოწმობს, რომ მაკენზენი განზრახ დაბრუნებულა უკან, რადგანაც მეტად შორს ყოფილა შეჭრილი დობრუჯის უწყლო უდაბნოში. ამას გარდა ჩრდილოეთით თანდათან ფართოვდება დობრუჯის მიდამოები შავი ზღვიდან დუნაიმდე და აქეთკენ წინსვლა ბრძოლის ხაზს აგრძელებს, რასაც გაცილებით მეტი ჯარი დასჭირდებოდა. ამისათვის მოპირდაპირე უკანვე დაბრუნებულა, რათა უფრო ვიწრო ხაზი დაეჭირა ჩერნოვოდ-კონსტანცს ზევით, 20 ვერსის მანძილზე. ასეთს ვიწრო ხაზს წარმოადგენს ტაშაულის ტბის ხაზი. აქ დუნაის ჭაობებსა და შავი ზღვის სანაპიროებზე მდებარე ტაშაულის ტბის შუა ბრძოლის ხაზი 32—38 ვერსს არ აღემატება, გირსოვოს ზევით კი ხაზი 60 ვერსზე მეტს უდრიდა. დობრუჯის ჩრდილოეთი ნაწილი ისედაც უდაბურია, აქ თითო სოფელი 38 ოთხკუთხ ვერსზე მოდის. ალბად მაკენზენმა მისთვის გადასწვა სოფლები, რომ თავისი მოპირდაპირისათვის უფრო ვრცელი უდაბური ადგილი დაეტოვებინა, რათა მან ვერ შეიძლოს სადმე ფეხის მოკიდება და დაბანაკება.

შესაძლოა მაკენზენის დახევა ჩერნოვოდისაკენ იმითაცაა გამოწვეული, რომ მან დობრუჯიდან რომელიმე სხვა ასპარეზზე გადაიყვანა ჯარის ნაწილი.

რუმინეთის თაობაზე „რუსკ. სლოვო“-ს სამხედრო მიმომხილველი **ვ. მიხაილოვსკი** სწერს: გენ. სარაილის მოქმედება შეჩერებულია, რადგანაც მეფე კონსტანტინეს მოკავშირენი კვლავ ულოლიავებენ ისე რომ მთავარ ასპარეზად ისევ რუმინეთია. რუმინეთში როგორც სჩანს, ფალკენჰაინსა და მაკენზენს ხელი არ აუღიათ ვლახეთში შესევაზე. თუმცა დაწვრილებითი ცნობები არა გვაქვს, მაგრამ შეიძლება ვთქვათ, რომ კარპატის სამხრეთ კალთებთან გადამწყვეტი ბრძოლა ჯერ არ დასრულებულა. პეტროგრადიდან მთავარ სარდლის ცნობა გადმოგვცემს კიდევ შეიძლება აქ შეცდომის გასწორება, საქმის გამობრუნება და შესაფერ ზომების მიღება, რომ ავსტრია-გერმანელებმა ბუქარესტი არ აიღონო. ეს ცნობა მხოლოდ იმისი დამადასტურებელია, რომ აქ მდგომარეობა მეტად დამაფიქრებელია. ავსტრია-გერმანელებს ამ ასპარეზზე ათი დღის განმავლობაში ბევრი არაფერი მოუგიათ, მხოლოდ 4—5 ვერსით წაუწევიათ კიმპალუნგიდან და პრახოვის ველიდან ბუქარესტისაკენ მიმავალ გზაზე.

ცოტა რამ მნიშვნელობა აქვს ჩვენი ჯარის მიერ გირსოვოს დაბრუნებას. უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ჩერნოვოდის მიმართულებით ჩვენი ჯარის შეტევას. აქ, როგორც სჩანს ბულგარელებს მოუხერხებიათ დუნაის მარცხენა ნაპირას გადასვლა, მაგრამ ისევ უკანვე გამოუბრუნებიათ და ეხლა ბრძოლაა გაჩაღებული ჩერნოვოდის ხიდის ყურთან. ჩერნოვოდი გირსოვოდან 35 ვერსზეა სამხრეთით.

## დრედნოუტ „იმპერატრიცა მარიას“ დაღუპვა.

როგორც რუსეთის საადმირალო გადმოგვცემდა, სევასტოპოლში აფეთქდა დრედნოუტი „იმპერატრიცა მარია“-ო. ამის გამო „რუს. სლოვო“-ს სამხედრო მიმომხილველი სწერს: ამ დრედნოუტის დაღუპვამ ჩვენს შავი ზღვის ფლოტს აქტიური მოქმედების უნარი სრულიადაც არ დაუკარგა. გამოირკვა, რომ ზედ მყოფ მეზღვაურთაგან მხოლოდ ერთი მეხუთედი დაიღუპა, სულ 216 კაცი, მაშინ როდესაც ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის ჯავშნოსნების აფეთქების დროს ზედ მყოფთა ნახევარზე მეტი დაიღუპულა ხოლმე. მაგ. „ლეონარდო-დავინჩის“ აფეთქების დროს დაიღუპა 550 კაცი. „იმპერატრიცა მარია“-ს დაღუპვის თაობაზე მოხსენებულია მხოლოდ ერთი აფეთქება. ეს იმედს გვაძლევს, რომ ჩვენი დამძირული დრედნოუტის ამოღება შედარებით მალე მოხერხდება.

მართალი არ უნდა იყოს გავრცელებული ხმა, ვითომც ეს დრედნოუტი პირქვე გადაბრუნებულიყოს, მაშინ ზღვის ზედაპირამდე 30 ფუტის სიღრმეზე მაინც იქნებოდა დამძირული და მისი ამოღება უფრო გართულდებოდა.

ამ დრედნოუტის დაღუპვა შავ ზღვაზე ჩვენსა და ოსმალეთის ფლოტის ძალთა განწყობილებას არა სცვლის, რადგანაც მათ აქვთ მხოლოდ დრედნოუტი „გებენი“, „ბრესლაუ“ და რამდენიმე ნაღმოსანი. ჩვენმა ფლოტმა 1814 წლიდანვე ხელთ იგდო შავ ზღვაზე ბატონობა და ეხლა... უფრო ძლიერია იგი, ვიდრე მაშინ.

ამასთანავე, ოსმალეთის მთავარი ძალები ქურთისტანსა და ჩრდილო მესოპოტამიაში მოქმედებს და არა სტამბოლ-ლაზისტანის საზღვაო გზით შავი ზღვის სანაპიროებზე.

## საბერძნეთი.

ფრანგული გაზეთი „ფრანს მილიტერ“-ი სწერს: ადმირალ ფურნიეს დავალებული აქვს მოკავშირეთა ჯარი ზურგიდან უზრუნველჰყოს, რომ არავითარი საფრთხე არ მოელოდეს. ეხლა კი გამოირკვა, რომ ბერძენ-გერმანელთა გეგმით მისთვის დიდი დაბრკოლება უნდა შეექმნათ და ზურგის მხრიდან ემუქრებოდნენ მოკავშირეთა ჯარს. ამ საქმის მეთაურებად ყოფილან საბერძნეთის მთავარშტაბის ნაუფროსალი, მის თანაშემწე, გენ. დუსმანისი და პოლკოვ. მეტაქსა. მათის გეგმით, სალონიკიდან 120 ვერსზე, ლარისში, ძლიერ გამაგრებული ბანაკი უნდა შეექმნათ და საბერძნეთის ჯარისათვის იქ უნდა მოეყარათ თავი. ათინიდან მუდამ დღე იგზავნებოდა ლარისში მატარებლები არტილერიით, საომარ მასალით, სურსათ-სანოვაგით დატვირთული. იქითვე იგზავნებოდა ჯარიც. ლარისის მდებარეობა სწორედ ზედგამოჭრილია ამ განზრახვის შესასრულებლად, რადგანაც აქედან რკინის გზის ლიანდაგები მიდის ათინის გარდა, ვოლოს ნავთსადგურისაკენ და სალონიკისაკენ. სალონიკიდან 40 ვერსზე ეს გზა უერთდება სალონიკ მონასტირის ლიანდაგს ლარისში ბერძნებმა სიმაგრეების აგება იწყეს. აქ უნდათ გადაიტანონ 50 ზარბაზანი და 30 ათასი მეომარი გადაიყვანონ თავისი შეიარაღებით, ცხენებით და სურსათით. ადმირალ ფურნიეს მოთხოვნით ეს გეგმა ჩაეშალათ ბერძნებს.

## დაღუპულ გემების რაოდენობა.

ინგლისის ცნობებით, ომის განმავლობაში ყველა სახელმწიფოებისათვის გერმანელებს 1106 გემი დაუღუპიათ.

**შეცდომის გასწორება**

გუშინდელს ცნობებში იუზის მილოცვაში შეცდომითაა დაბეჭდილი: უგულითადეს **მადლობას** გიძღვნით.. უნდა იყოს **მილოცვას** და სხვ.

# უკანასკნელი ცნობები

**რუმინეთის დახმარება**

მოსკოვში რუმინელთა სახარგებლოდ ფულის შეკრებას შეუდგნენ; ამისათვის საგანგებო გ ნცხადებანი დაამზადეს შემდეგის წარწერით. „მოსკოვი—რუმინეთს, ძველ დაერთგულ ძმებს, რომელნიც ჩვენი საქმისათვის —ეროვნებათა განთავისუფლებისათვის სისხლსა მღვრიანო“.

**ქალი ამომრჩეველი**

ჩრდილო ამერიკის პრეზიდენტის არჩევანის დროს ერთ ოლქში ქალი აურჩევიათ ამომრჩევლად: ჟანეტა რანკინე; ეს პირველი შემთხვევაა ამერიკის სახელმწიფოს წარსულში.

**ინგლისი და ებრაელები**

გარდაუწყვეტიათ ჯარში გაიწვიონ ის 30.000 რუსი ებრაელი, რომელნიც ინგლისში იმყოფებიან.

**არეულობა მოსკოვში**

პეტრეს ქალაქში ხმა დაჰყარეს, მოსკოვში დიდი არეულობა არისო; ამბობენ, ამ ხმებს გერმანელთა მეგობრები ავრცელებენო.

**ცეცხლის ზარალი**

მთავრობას გარდაუწყვეტია უფლება მისცეს ცეცხლიდან დამზღვევ საზოგადოებათ არ გადიხადონ ის ზარალი, რომელიც დაზღვეულ მამულს ან ქონებას ომის გამოისობით მოუვა.

# ახალი ამბავი

**სასახლეში.**

◆ მეფის ნაცვალს სადარბაზოდ წარუდგა კავკ. ფრონტზე ლტოლვილთა საქმის მთავარწმუნებული გენ. თამამშევი.

**ქართული დაწესებულებანი.**

◆ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ ხამლთო სჯულის პროგრამის შესამუშავებლად აირჩია კომისია, რომელშიაც შედიან: თ. კიკვაძე, ლ. ბოცვაძე, იპ. ვართაგავა, დ. კარიჭაშვილი და ვ. ბურჯანაძე. ამავე კომისიას მიანდო არითმეტიკის პროგრამის შემუშავება. გამგეობამ მოისმინა ბ-ნ ლ. ბოცვაძის მოხსენება ლანჩხუთის განყოფილების რევიზიის შესახებ და მოიწონა იგი. ამასთანავე გამგეობამ დაადგინა, რომ აღნიშნულ მოხსენების ასლი გაეგზავნოს ლანჩხუთის განყოფილების გამგეობას სახელმძღვანელოდ და ეცნობოს, რომ განყოფილებას საკმაოდ არ ჰქონია ბიბლიოთეკაში ქართული წიგნები და უნდა ეცადოს ნაკლის შევსებას. შემდეგ გამგეობამ დაადგინა მიეცეს ქუთაისის განყოფილებასთან არსებულ წიგნების გამომცემელ სექციას საკომისიოდ კიდევ 300 მანეთის წიგნები, ხოლო მოეთხოვოს წაღებული წიგნების ანგარიში.

◆ **უპურობა.** სამტრედიის რაიონული განყ. ქ. საქვ. საზოგადოებისა ატყობინებს მთავარ გამგეობას, რომ მთელი რაიონი საოცარ მდგომარეობაშია უპურობის გამო და სთხოვს ორ ვაგონ ფქვილს იმ 14 ვაგონიდან, რომელიც მთავარ გამგეობის სახელზე უნდა იქნეს მიღებული.

◆ **კრება.** დღეს, ქ. საქვ. საზ. გამგეობის კრებაა დანიშნული, საკვებ საკითხის გამო.

◆ **სასოფლო სამეურნეო საზოგ.** საბჭოს კრება იქნება დღეს, 3 გიორგობისთვეს, საღამოს 8 საათზე. განსახილველია მიმდინარე საქმეები.

◆ **ანგარიშის დაბეჭდვა.** უკვე დაიბეჭდა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წარსული 1915 წლის მოქმედებისა და დასამტკიცებლად წარედგინების წლიურ საზოგადო კრებას, რომელიც მიმდინარე ნოემბერში მოხდება.

◆ **ახალციხის რაიონ. განყ.** გამგეობამ გამოუგზავნა მთავარ გამგეობას მისდამი რწმუნებულ თავშესაფარების ფულის ანგარიში, რომელიც მთავარ გამგეობამ გაუგზავნა მათ შესანახათ. საერთო ჯამი უდრის 3000 თუმანს. ეს ფული მოუხმარებია განყ. გამგეობას ს. უდისა და ახალციხის თავშესაფარების მოსაწყობათ.

◆ **ფქვილის გამოწერას** ქ. საქვ. საზ. მთავარი გამგეობა აღარ აპირებს სრულიად, ვინაიდან დიდი დაბრკოლება ეღობება ამ საქმეში, და თან უსაფუძვლო საჩივრებიც უნდა აიცდინოს თავიდან.

◆ **ახალი წესდება წ. კ. საზ. რეორგანიზაციისა.** ქ. შ. წ. კ. გ. საზ. გამგეობამ შეიმუშავა ახალი წესდება საზოგადოების რეორგანიზაციისა, რომელსაც წარუდგენს მორიგ კრებას დასამტკიცებლად. თანახმად ამ ახალი წესდებისა, მთავარ გამგეობას ირჩევენ განყოფილებათა წარმომადგენლები, ხოლო საზოგადო კრებას შეადგენს 150 წარმომადგენელი. აგრეთვე შეიმუშავა ინსტრუქცია განყოფილებათათვის. ეს ინსტრუქციაც წარედგინება საზოგადო კრებას დასამტკიცებლად.

**მთავრობის დაწესებულებანი**

◆ **თბ. გუბერნატორმა** ნება დართო 1) ვაჟთა 6 გიმნაზიის მშობელთა წრის საბჭოს საარტისტო საზოგადოების თეატრში 16 ქრისტიშობისთვეს გამართოს წარმოდგენა უფასო სასადილოს შესანახად. 2) უმწეო პედაგოგთა საზოგადოების თავჯდომარეს ბარონესა ტაუბეს 16 გიორგობისთვეს ახალ კლუბის დარბაზში საღამოს გამართვისა, სერბებისა და მთაშაველთა სასარგებლოდ და 3) ვაჟთა 1 გიმნაზიის მშობელთა წრის თავმჯდომარეს 18 გიორგობისთვეს საარტისტო საზ. თეატრში გამართოს წარმოდგენა წრის საშუალებათა გასაძლიერებლად.

◆ **აქციზი ღვინოზე.** გამოცხადდა უმაღლესად დამტკიცებული დებულება ღვინის აქციზზე. თანახმად ამ დებულებისა ვედრო ღვინოზე დაწესდა აქციზი 4 მ. 80 კ., ხოლო ქიშმიშისა და სხვა ღვინოებზე 4 მ. 40 კ. ვედროზე.

◆ **თიანეთის მაზრის უფროსის** თ-დ ივ. ყარალაშვილის ადგილზე როგორც გვატყობინებენ ინიშნება თბილისის ბოქაულად ნამყოფი ბაჩურინი.

**ქალაქის დაწესებულებანი.**

◆ **ქალაქის გამგეობის წევრი** ა. მ. არღუთინსკი ავად გახდა და ამიტომ ტრამვაის საქმეების ხელმძღვანელობა დაევალა გამგეობის წევრს გ. დ. ჟურულს.

**სასულიერო უწყებაში.**

◆ **მასწავლებლის დანიშვნა.** უწ. სინოდის განკარგულებით ყაზანის აკადემიაში სწავლა დამთავრებული ბ-ნი ხელიძე დაინიშნა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში ანგარიშის მასწავლებლად, ხოლო მოსკოვის აკადემიაში სწავლა დამთავრებული ბ-ნი ტოლსტუსა ამავე სასწავლებელში ლათინურ ენის მასწავლებლად.

◆ **ერევნის ეპ. ყ. ს. დამიანე** დღეს 3 გიორგობისთვეს თვის სამწყსოში მიემგზავრება.

◆ **ქუთაისის სასულიერო სემინარიის** ძველ ენების მასწავლებლად დაინიშნა ბ-ნი კრამარენკო, რუსეთიდან.

**სომეხთა შორის.**

◆ **სრულიად სომეხთა კათალიკოზის** კანცელარიასთან სამი წლის წინად დაარსდა, ეგრედ წოდებული, სასწავლებლების ფონდი, რომელიც დღემდე მილიონ მანეთზე მეტი გამხდარა. ფონდის სარგებლით უნდა დაარსონ სკოლები იქ, სადაც დღემდის არ არსებობდა დ აგრეთვე დახმარება აღმოუჩინონ ღარიბ სკოლებს. ამ თანხის სარგებლიდან ამ დღეებში 1400 მანეთი გადაუდვიათ ამერ-იმერეთში არსებულ სომეხთა სკოლების დასახმარებლად.

◆ **სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოებამ** თითო ვაგონი ფქვილი გაგზავნა იგდირსა, ყარაკლისსა, ელენოვკასა და ყარინლუში გადმოხვეწილ სომეხთა სასარგებლოდ.

◆ **საზოგადო საკრებულომ** (კლუბმა) 1000 მან. შესწირა სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოებასთან არსებულ უსასყიდლო სასადილოს.

**სხვა და სხვა ამბები.**

იპ. ვართაგავას ლექციის ბილეთები შ. მღვიმელზე, რომელიც 6 გიორგობისთვესაა დანიშნული ახალ კლუბის დარბაზში, იყიდება დღეიდან „ახალ კლუბის“ შესავალში მეკარესთან.

◆ **მიწის ძვრა.** სამშაბათს, 1 ნოემბერს, ნაშუადღევის 4 ს. 40 წ. თბილისში საგრძნობლად იძრა მიწა.

◆ **ჩაის პლანტაციები.** მიწადმოქმედების უწყებას გადაუწყვეტია ჩაის პლანტაცია მოაწყოს ზუგდიდში. 20 დესეტინა ადგილი უგ. თავ. სამეგრელოისას უსასყიდლოდ დაუთმია პლანტაციისათვის. როგორც ანგარიშობენ, წელიწადში 30,000 გირვანქა ჩაის მოყვანა შეიძლება იქ. პლანტაციას ამ თავითვე დასჭირდება 50—70 ათასი მანეთი, ხოლო ყოველ წლიურად 16,000 მანეთი.

◆ **ირ. ევდოშვილის პანაშვიდი.** კვირას, 6 გიორგობისთვეს, გარდაცვალებიდან ექვსის თვის თავზე, დიდუბის ეკლესიაში დანიშნულია წირვა და პანაშვიდი განსვენებულ მგოსან იროდიონ ევდოშვილის სულის მოსახსენებლად.

◆ **უნავთობა.** უკანასკნელ დღეებში ნავთის შოვნა გაძნელდა და თითქმის შეუძლებელიც გახდა თბილისში. განსაკუთრებით დიდ გასაჭირს განიცდის ღ. რ. ბი უბნები, სადაც სახლებში ელექტრონი არ არის გაყვანილი.

◆ **ექსკურსია.** მომავალ კვირას, 6 გიორგობისთვეს, თბილისის თვითმართველობის მოსამსახურეთა ქოოპერატიულ საზოგადოების კულტურულ-განმანათლებელ კომისიას თავისი წევრები საექსკურსიოდ მიჰყავს ავჭალაში. დაათვალიერებენ მინის ქარხანას და ქალაქის წყალსადენის აუზს მოწყობილობით. თუ ცუდი დარი იქნა და ავჭალაში წასვლა არ მოხერხდა, იმ შემთხვევაში დათვალიერებულ იქნება თბილისის ღირსშესანიშნავი ადგილები.

◆ **ვერის დათვალიერება.** ქალაქის თვითმართველობის სატეხნიკო კომისიამ და ვერაზე არჩეულმა ქალაქის საბჭოს ხმოსნებმა—პ. გოთუამ, თ. ვაჩნაძემ, ფ. გოგიჩაიშვილმა და სხვ. 30 ღვინობისთვეს დაათვალიერეს ვერაზე (პირველ საპოლიციო უბანში) ქუჩები და ხევები. ამ დათვალიერებას აზრად აქვს გამოარკვიონ, რომელ ქუჩას ესაჭიროება შეკეთება და რომელი ხევი უნდა ამოივსოს ანუ გასუფთავდეს.

◆ **საექიმო საზოგადოება.** 1 გიორგობისთვეს მოხდა მორიგი კრება კავკასიის საექიმო საზოგადოებისა. ექ. ნ. ნ. ვესელოვზოროვმა კრებას უჩვენა მის მიერ მორჩენილი 2 ჯარის კაცი და 1 ჭაბუკი, რომელთაც თავის ძვლები ჰქონიათ გატეხილი. ბ-ნი ვესელოვზოროვი, როგორც თითონ განმარტა, ასეთ შემთხვევაში შემდეგ ღონისძიებას ხმარობს: მარცხენა გვერდის ძვალს ამოუღებს ავადმყოფს, თავზე დააწებებს, მაგრად შეუხვევს და რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა ნაჭერი შეეხორცება დაკერებულ ადგილს, ავადმყოფი რჩება. იმავე ბ-ნმა ვესელოვზოროვმა თავისი პრაქტიკიდან მეორე საინტერესო ცნობაც გაუზიარა საზოგადოებას, შესახებ ხორცმეტის ამოჭრისა მუცელში. ერთ ქალს მოზრდილი ზომის მეტი ხორცი ამოსვლია თირკმელზე. ქალი გაიბერა და ძლივსღა დადიოდა. ვესელოვზოროვს ზედმეტი ხორცი ამოუჭრია და ავადმყოფი ქალი მორჩენილა.

◆ **ტრამვაის უფასო ბილეთები** 10 გიორგობისთვიდან ისპობა.

◆ **მომრიგებელ მოსამართლედ.** ცხინვალის სამოსამართლო ნაწილში დაინიშნა თბ. საოლქო სასამართლოდან ბ-ნი გაგუა, ხოლო ზანგეზურის მომრიგებელი მოსამართლე თ-დი ერისთავი განჯის მომრიგებელ მოსამართლედ.

◆ **გამოქცეულ ჯარისკაცთა შეპყრობა.** ამ დღეებში პოლიციამ შეიპყრა 11 გამოქცეული ჯარისკაცი და საკომენდანტო გამგეობაში გაგზავნა.

◆ **თავის მოწამვლა.** ნიკოლოზის ქუჩაზე ზ. ე. შმუროვისამ, 17 წლისამ, საწამლავი დალია. გონდაკარგული შმუროვისა მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

◆ **ქურდობა.** 1) გაქურდეს გუნიბის ქ. ბ. ბ. კირიაკოვის ბინა და 550 მ. ნივთეულობა წაიღეს, 2) მიხეილის პროსპ. გაქურდეს ა. გ. მირონოვის სახლი და 190 მ. ღირებული ნივთეულობა წაიღეს, 3) ვანქის ვიწრო ქუჩაზე ტ. ა. სანოინცის ბინიდან მისმა შვილმა არშაკამ გაიტაცა 155 მან. ნივთეულობა და მიიმალა.

◆ **კიწიის** (სამეგრელო) პირველდაწყებითი სკოლა უმაღლეს პირველდაწყებითი სასწავლებლად გადაკეთდა. მასწავლებელთა ბინა განთავისუფლდა და სასწავლებლის საპედაგოგიო საბჭო შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, რომ დააარსოს ამ ბინაზე პანსიონი ომისაგან დაზარალებულთა 50 ბავშვისათვის.

**დ. ჭიათურა.**

კვირას, 6 გიორგობისთვეს, დილის 11 საათზე, ადგილობრივ თეატრში დანიშნულია წლიური კრება ჭიათურის სახალხო უნივერსიტეტთა საზოგადოებისა.

**თიანეთი.**

**მკვლელობა.** საერობო დარაჯი ი. არაბული თავის ძმა ჩაჩაურთან ერთად ს. ესაჩოდან ს. ბარისახოში მოდიოდა. ჩრდილის ხევში მთის წვერიდან გაისმა თოფის ხმა და ტყვია დარაჯს არაბულს მოხვდა. მისმა ძმამ შენიშნა გაქცეული კაცი, რომელიც აღმოჩნდა ბიძურა არაბული. დაჭრილმა დარაჯმა თავის მხრივ რევოლვერი ესროლა ბოროტმოქმედს, მაგრამ ვერ მოახვედრა და გაქცეულმა თავს უშველა. დარაჯი არაბული ს. ბარისახოში მოიყვანეს და გოგოთურ ჭინჭარაულთან მოათავსეს. 3 დღის შემდეგ დარაჯმა ჭრილობებს ვეღარ გაუძლო და თავი მოიკლა.

**ოზურგეთი.**

მთელი გურია ამდენხანს სამი საბოქაულო იყო: გურიანთისა, ლანჩხუთისა და ჩოხატაურისა. ეხლა უმატებენ ორს: სუფსისას და ნაგომარისას, თავის დარაჯებით.

— მაზრის უფროსის თანაშემწედ ახლად გადმოყვანილი ვინმე გასპარო-

ვიჩი მაზრის უფროსის ბ-ნ ჩერნოვის ლმობიერ პოლიტიკის მიმდევარი არ გამოდგა. ასე რომ მათი ერთ დაწესებულებაში ყოფნა შეუძლებელი შეიქმნა. საბედნიეროდ, გადაიყვანეს თანაშემწე და მის ადგილას დროებით მოიწვიეს გურიანთის ნაწილის ბოქაული ბ. მექი კედია, რომელიც, კაი ხანია, გურიაში მსახურებს და გურულებს კარგად იცნობს. სრული იმედია ამიერიდან ის კიდევ მეტად ეცდება ხალხის სამსახურს.

— არჩეული ხმოსნები, მიუხედავად ზოგიერთა „შავების“ მიერ გასაჩივრებისა, გუბერნატორმა უკვე დაამტკიცა. ქალაქის თანამდებობის პირთა არჩევნები მალე მოხდება.

— მიუხედავად მრავალ გზის საჩივრისა, არ იქნა და არა, დირექცია ვერ შეელია საქალაქო საქალებო სკოლის უფროს „მასწავლებელს“ ქ-ნ დუმბაძე-ჯულელისას. ორ წელიწადზე მეტია, რაც მას ქალაქის თვითმართველობა უჩივის—არ ვარგა, მოგვაშორეთო, მაგრამ არც გადაჰყავთ და არც თითონ ქ-ნი ფიქრობს იმ ადგილს გაეცალოს, სადაც მას მოგვშორდიო, ემუდარებიან. თუ ახლაც არ გადაიყვანეს, ქალაქს გადაწყვეტილი აქვს სკოლას შემწეობა მოუსპოს და ეს კი სკოლის დახურვას უდრის.

## სახელმწიფო სათათბირო

**პეტროგრადი.** 1 გიორგობისთვე. ნაშუადღევის 1 საათ. და 30 წ. ეკატერინეს დარბაზში თავი მოიყარეს: სათათბიროს თავმჯდომარემ, დეპუტატებმა და კანცელარიის მოხელეებმა. პარაკლისის დაწყებისას მოვიდნენ: მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გოფმ. შტიურმერი, სახელმწიფო საბჭოს წევრები და უწყებათა წარმომადგენელნი. პარაკლისი გათავდა სამეფო სახლის მრავალ-ჟამიერით. 2 საათ. და 25 წ. თავმჯდომარე სხდომას გახსნილად აცხადებს. ლოჟები გაჭედილია, მაყურებელთა ლოჟებში ყველა ადგილი დაკავებულია. მინისტრთა ლოჟებში შტიურმერი და მინისტრთა მთელი შემადგენლობა ზის.

სათათბიროს თავმჯდომარე ითხოვს ფეხზედ ადგომით პატივი სცენ შემდეგ გარდაცვალებულ დეპუტატთა ხსოვნას: გლადიშის, მამა ბორზაკოვსკის და დემიანოვის; ყველანი ფეხზედ სდგებიან. წაკითხულ იქმნა კანცელარიაში მოსული საქმეები, მათ შორის პროტოპოპოვის უარი თავმჯდომარის თანაზიარის ადგილზედ.

თავმჯდომარე შემდეგი სიტყვით მიმართავს სახელმწიფო სათათბიროს:

„ბატონო სახელმწიფო სათათბიროს წევრნო: საერთაშორისო ომის დაწყებიდან უკვე მეხუთედ ვიკრიბებით. განვლო ომის დაწყების შემდეგ 27 თვემ· მაგრამ ომი თანდათან რთულდება, ახალ ადგილებს იპყრობს და ახალ ერებს ითრევს შიგ. ომის საჭიროებანი იზრდებიან და ძლიერ აქვემდებარებს ყოველ დღიურ საჭიროებათ და გვიბრძანებს გავიღოთ ახალი და აუცილებელი მსხვერპლი. მძიმე ლოდად დააწვა უეცარი ომი ჩვენ სამშობლოს; დღითი-დღე რთულდებოდა იგი ეროვნული ცხოვრების პირობები და ამით იჭვს და შიშს ჰბადებდა. ომი აღარ თავდება, სამხედრო მოქმედება თანდათან სასტიკ ხასიათს იღებს და უფრო მეტ ძალღონის დახარჯვას გვთხოვს. მტერი დაჭრილია, მაგრამ მისი ძალა ჯერ კიდევ არ მოტეხილა; სასოწარკვეთილების ვაჟკაცობით იცავს იგი თავს და აი ამ დროს ვუბრუნდებით. დიდი, ვიტყვი, ძალიან დიდი შესვენების შემდეგ ვუბრუნდებით ჩვენ მუშაობას; სათათბიროს უპირველესი მოვალეობაა წყნარი და დაწვრილებითი განხილვა მდგომარეობისა, დაუყონებლივ მოვიშოროთ ის (ხმები მარცხნით: „ის კი არა იგი), რაც ხელს გვიშლის ჩვენი მიზნის მიღწევას (მარცხნით: „ვაშა“). ამას მოითხოვს ეროვნული პატიოსნება და ეროვნული სინიდისი; ამას ბრძანებით ითხოვს არა მარტო სახელმწიფოსთვის ხიფათის აცილება, არამედ მომავალ თაობათა კეთილდღეობა, ღვთის წყალობით, რუსეთი ამას მიაღწევს (ყოველი მხრიდან ისმის: „მართალია“, ვაშა“!) ომმა უკვე გამოითხოვა ცხოვრებისათვის უმოქმედო ერის ძალები და მათ დაამტკიცეს თავისი ძლიერება. ეს ძალა უძლეველია.

როდესაც გასულ წელს გაისმა ხმა ხელმწიფისა, რუსეთი აღფრთოვანდა, შეუდგა შინა-მუშაობას და ძლევამოსილი ჯარი გასაოცრად გაამხნევა. დაუღალავ მუშაობაში ვიპოვეთ განსაცდელში გამოსასვლელი და მტრის ერთსულოვანი წინააღმდეგობით გავაოცეთ მთელი ქვეყანა. ეხლა დრო დადგა უფრო მძლავრად დავძაგროთ ჩვენი ნებისყოფა, მთელი ჩვენი ძალები, უფრო მეუაითად შევუდგეთ მუშაობას, გასამარჯვებლათ და ნურას დროს ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ, ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ. (ტაშის ცემა ყოველ მხრიდან) ჩვენ ვიცით, რა გზითაც უნდა ვიაროთ ამისათვის: შინაგანი სიწყნარე, რწმენა ჩვენი ძალებისა, სულის სიმტკიცე განსაცდელში და დაუფარავათ თქმული სიმართლე აქ, აი ამ კედლებს შორის (ტაში ყველა სკამზედ)! მთავრობამ უნდა გაიგოს თქვენგან, თუ ხალხს რა უნდა. ჟამსა ბრძოლისა და ჟამსა ერის ძალთა დაძაგვრისა არ შეიძლება დაქრობა ხალხის სულის უმიზნო შევიწროებით (ტაში).

მთავრობას შეუძლია ხალხისაგან განცალკევებული გზით სვლა (ხმები: „მართალია“), მაგრამ თუ იგი აღჭურვილია ერის ნდობით, უნდა მოიწვიოს საზოგადოებრივი ძალები და იაროს მათთან ერთად, ხალხის თანახმად, ხალხის მისწრაფებისა, მტრის დასამარცხებლად. ამ გზის გადახვევა შეუძლებელია (ხმები მარცხნით: მართალია) და თუ გადაუხვიეს, სრულ გამარჯვებას უსათუოდ დაახანებენ (ხმები მარცხნით: „ძირს“, უნდა მოგვცილდნენ“); ერის სასარგებლო მუშაობის უარით ნუ დავასუსტებთ ერის ნება-ყოფის მთელ ძალას (ხმები: „მართალია“).

ერის ძალთა სრული იმედით, ძლიერის, როგორც ბედის წერა, ისევე ვთქვათ: „დიდო რუსეთო, შენ ვერავინ ვერ გაგტეხს, სალ კლდესავებრ გაუძლებ ძლიერ ქარტეხილს“ (ტაში მარცხნით).

ბატონო სახელმწიფო სათათბიროს წევრნო! დღეს, ჩვენი მუშაობის განახლებისას, არ შემიძლია დუმილით გვერდი ავუარო სასიხარულო მოვლენას: ერთა ძმურ ოჯახს, სიმართლისა და სამართლიანობის უმაღლესი პრინციპებისათვის, ჩვენთან ერთად მებრძოლს, მიემატა კიდევ ერთი წევრი, რომელიც ამ პრინციპებს იზიარებს. მე შემომაქვს წინადადება ჩვენი სალამი გაუგზავნოთ ამ მოკავშირეს— სახელოვან რუმინეთის ერს და ვუსურვოთ მათ სახელოვანი გამარჯვება. (ხმები: „გთხოვთ“). მივესალმოთ ჩვენს შორის მყოფ რუმინეთის წარმომადგენელ ელჩს (ხანგრძლივი ტაში), ჩვენი გულითადი სალამი ძველ გამოცდილ მოკავშირეთ (საერთო ტაში, ხმები: ვაშა; ხმები მარცხნით: გაუმარჯოს ინგლისს“), მივულოცოთ მათ, სახელოვანი გამარჯვებანი წარსულ ზაფხულის კამპანიაში.

ბატონებო! ჩვენ ვერ დავივიწყებთ მათ დახმარებას, რადგან მათ ძლიერ ბევრი გააკეთეს საერთო გამარჯვებას მისაღწევად. ჩვენ შორის არ არის უთანხმოება და მეგობრობა უფრო მჭიდროვდება, რაც ასე აღიზიანებს ჩვენს მტერს; ყოველ ღონეს ღონობს იგი, რათა როგორმე ჩაშალოს ეს კავშირი, მაგრამ მაინც მიზანს ვერ მიაღწიეს, რადგან მჭიდროთ ვართ შეკავშირებულნი დაღვრილი სისხლით და შეწირულ მსხვერპლით. ფუჭია მათი ცდა. რუსეთმა სიტყვა მისცა მათ, რომ გამარჯვებამდის იარაღს არ დაჰყრის და რუსეთი თავის მეგობრებს არ გაჰყიდის.

რუსეთი ვერ უღალატებს მათ, ვინც 27 თვე მასთან ერთად იბრძოდა საერთო საქმისათვის (ხანგრძლივი ტაში). ზიზღით უარჰყოფს ყოველსავე წინადადებას სეპარატიულ ზავის შესახებ (ტაში). განვლო უკვე 27 თვემ ომის დაწყებიდან და უცვლელად, მედგრად და უშიშრად, გენერალიდან დაწყებული ჯარის კაცამდე, ჩვენი ძლევა-მოსილი ჯარი უშიშრად ებრძვის. უშიშრად იბრძვის სახელოვანი ჩვენი ფლოტი და ფრთხილად იცავს რუსეთის ნაპირებს. იგია ჩვენი იმედი, მათვისაა ჩვენი ლოცვა და კურთხევა. იბრძოლეთ მედგრად სამშობლოსათვის, დაუზოგავათ ამარცხეთ მტერი; ჩვენ ვიყავით და ვართ დარწმუნებულნი, რომ ჩვენი ჯარი და ფლოტი არას დროს არ შეგვარცხვენს. წინადადებას ვიძლევი მივესალმოთ ჩვენს მამაც ჯარს, ფლოტს მათი უმაღლესი მთავარ სარდლის, ხელმწიფე იმპერატორის სახით“ (ტაში).

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, რომელიც სათათბიროს გახსნისას ავადმყოფობის გამო პირველად გამოვიდა სახლიდან, როდზიანკოს სიტყვის შემდეგ სათათბიროს დარბაზი დასტოვა.

(დასასრული ხვალ)

## თევდორე ჟორდანიას გასვენება

### სამძიმრის დეპეშები

**კავკავი:** თ. ჟორდანია გამოეთხოვა საქართველოს, განა სარკე სიცოცხლისა, თვისს მშობელს ერს რომ შეუქმნია წმინდა მარჯვენითა და ბროლის გულითა, სამარადისოთ იმეტყველებს მის შესახებ.

ნაფ. ვექ. **დიმ. ჭიაბრიშვილი.**

**ფოთი:** ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების ფოთის განყოფილება ჰგლოვობს თ. ჟორდანიას გარდაცვალებას. კეთილსინდისიერ და ნაყოფიერ ისტორიკოს-არქეოლოგოსს უსაზღვროდ უყვარდა თვისი სამშობლო და მისს აყვავებისათვის ზრუნვაში განვლო დღენი თვისნი.

თავმჯდომარე **გ. ტყემალაძე**, მდივანი **ლ. წულაძე.**

**ართვანი:** ვგლოვობ და ვსტირი ჩვენის უძვირფასესის და დაუღალავის საზოგადო მოღვაწის, ისტორიკოსის თევდორე ჟორდანიას უდროვოდ დაკარგვას. მისი სიკვდილი დიდი დანაკლისია სამშობლოსთვის.

**ოდიშარია.**

**ქუთაისი:** ახლად დაარსებულმა ვაჭართა საზოგადოებამ თვის პირველ საზოგადო კრებაზე ადგომით პატივი სცა მხცოვან საზოგადო მოღვაწის თევდორე ჟორდანიას ხსოვნას, რომელმაც საქართველოს ისტორია განამდიდრა თვისის ფასდაუდებელ ნაშრომებითა. იმავე კრებამ მომანდო განსვენებულის ოჯახს მისთვის და აგრეთვე მთელ სამშობლოსათვის დიდ დანაკლისისა გამო მივუსამძიმრო.

**დავ. ავალიანი.**

თ. ჟორდანიას დამკრძალველ კომიტეტის წევრები 29 ღვინობისთვეს წარუდგნენ მისს მაღალ უსამღვდელოესობას საქართველოს ექსარხოსს პლატონს. კომიტეტმა თვისის და ქართველ საზოგადოების პირით მადლობა მოახსენა მის მაღალ უსამღვდელოესობას ოთხშაბათს, 26 ღვინობისთვეს, ქვაშვეთის ეკლესიაში მიცვალებულის სულის მოსახსენებლათ პანაშვიდის გადახდისა და მისის სულის განსვენებისათვის ლოცვისათვის. ექსარხოსმა ბრძანა: მე მოვიხადე ვალი ქრისტიანისა; გარდა ამისა თევდორე ჟორდანიას ვიცნობდი და დიდად ვაფასებდი, როგორც ისტორიკოსს და არქეოლოგს, მით უფრო, რომ მე თვით მიშრომია და ვშრომობ ამ ორსავე დარგში. ამ 15 წლის წინათ, პირველათ რომ ჩამოვედი საქართველოში, ჩემი პირველი სურვილი იყო პირადათ მენახა და გამეცნო განსვენებული. რუსულ სასულიერო და საისტორიო მწერლობაში დიდათ აფასებდენ თ. ჟორდანიას ნაშრომებს და ჭეშმარიტად სამწუხაროა მისი სიკვდილი, როგორც ქართველებისათვის, ისე რუსთათვის. მისმა მაღალ უსამღვდელოესობამ კომიტეტის წევრებს ჰკითხა მიცვალებულის დასასაფლავებელი ადგილის შესახებ და ეამა, როცა გაიგო, რომ დიდუბეში ქართულ მოღვაწეთა პანთეონში ასაფლავებს ქართველობა თვისს ძვირფას შვილს. ექსარხოსმა ურჩია ქართველობას, შეიძინოს პანთეონთან ახლო მდებარე ადგილები და ესრეთ გაადიდოს დიდუბის სასაფლაო, სანამ უმეტესათ არ გაძვირებულა ადგილები. ამასთანავე გამოსთქვა სურვილი ქართულ მოღვაწეთა პანთეონისათვის, რაც შეიძლება, ბლომად ფული მოაგროვდეს, რომ ღირსეულად აშენდეს საქართველოს ღირსეულ შვილთა უკანასკნელი განსასვენებელი ადგილი. ამნაირივე სურვილი გამოსთქვა მისმა მაღალ უსამღვდელოესობამ ქართველ მოღვაწეთათვის აგარაკის ასაშენებელ ფონდის მოგროვების შესახებ.

## ორი უღლის მზიდველი

(თედო ჟორდანიას სამარესთან—დიდუბეში „თეატრი და ცხოვრების“ რედ.-გამომცემლის იოსებ იმედაშვილის მიერ თქმული ღვინობისთვის 30).

დღეს საქართველო, მრავალ-ტანჯული ქართველი ერი სამარეს აბარებს თავის მრავალ-წამებულ შვილს... ჩვენი ისტორიის აკვანი—დიდუბე ამ შვილს— თედო ჟორდანიას საუკუნოდ გულს მიისვენებს...

სამწუხაროდ ჩვენდა, დღეს კიდევ ბევრი კითხულობდა: ვინ არის თედო ჟორდანიაო?

გასულ საუკუნეს ჩვენი ქვეყანა მოჯადოებულ წრეში მოექცა... უბედო ბედის წყალობით ქვეყნის თვითმართველი მაჯა დადუნდა, მის ნიჭიერ შვილთა თვის-სახეობა გაჰქრა... ვინ მოსთვლის, რამდენი უმანკო მსხვერპლი შეიწირა ჩვენის ქვეყნის ბედუკუღმართ ჩარხის ტრიალმა. ბევრს, ძლიერ ბევრს ნიჭს ვერ მიეცა გზა ფართო განვითარებისა... ასეთმა მდგომარეობამ დაქსაქსა ქართველობა და თვითმოქმედების უნარი გაუქარწყლა...

ერთის მხრით წარმოიშვა ისეთი ქართველობა, რომელიც არსებულ მდგომარეობას სრულიად შეეგუა, მამული, ხალხი და მისი სარგო საქმენი მიივიწყა, მარტოოდენ თავის კეთილდღეობას გაჰყვა და პირადი წარჩინება-ღა ასულდგმულებდა, სხვას არას დაგიდევდა... გარეგნულად ბრწყინავდა, ვითომ ცოცხლობდა, მაგრამ სული-კი აღარ ედგა, დადიოდა, როგორც მკვდარი სული ..

და დღესაც განა ცოტაა ასეთი?!

მეორეს მხრივ, გამოჩნდნენ **შეურიგებელნი**, რომელნიც ქვეყნის აბუჩად აღებას არავის უთმობდენ, სამშობლოს მომავალზე აშკარად და თავგამოდებით ზრუნავდნენ და ამიტომაც ბევრმა მათგანმა შორეულს ქვეყნებში ანუ ციხე-საპყრობილეთა ბნელს ჯურღმულებში ჰპოვა მწარე სიკვდილი...

მაგრამ იყო სხვა, მესამე გვარი ქართველობაც, ორი უღლის—მოვალეობისა და ვალდებულების შუა მბრუნავი, რომელიც არსებულ მდგომარეობასაც რავდენათვე შეეგუა და ამავე დროს არ ივიწყებდა ლეჩაქ-ახდილ სამშობლოს ვაგლახ მდგომარეობას: მისი კვნესით კვნესავდა, მისი სასიამო ამბით მოილხენდა და, აშკარად თუ არა, იდუმლივ მაინც ცდილობდა თვისი წვლილი შეეტანა სალაღას ძილში მყოფ სამშობლოს გათვითცნობიერების საქმეში... აშკარად, გარეგნულად თუ ისტორიის უკუღმართი ბრუნვისაგან ქედს დადგმულ უღელს ზიდავდა, როგორც წამებული ჯვარს, თვისი სულის წიაღში დაობლებულ მამულის სევდავარამს ატარებდა... ვინ მოსთვლის რამდენი დამცირება და დევნა არ განუცდია, ამ მესამე რიგის ქართველობას. ხშირად დუმილი, სადაც სიტყვა ყოფილა საჭირო, რწმენის წინააღმდეგ გაჩუმება,—აი ტრაღედია, უდიდესი ტრაღედია სულისა...

აი, ამ მესამე რიგის დიდი ქართველთაგანი, ორი უღლის მზიდველთაგანი იყო განსვენებული თედო ჟორდანია, რომელმაც მასწავლებლობით, საენათმეცნიერო ცოდნის გავრცელებით და ჩვენის წარსულის კვლევა-ძიებით დიდი განძი შესძინა ჩვენს ეროვნულ-გონებრივი ალორძინების სალაროს...

ყბათ ამღებმა ჭორმან მძიმე ბრალდება წაუყენა ამ ქვეყნის ნაამაგდარ შვილს: ქართული ენისა და სამშობლოს მოღალატის სახელი უწოდა.

როგორ?—ქართული სწორმეტყველების წიგნი შეადგინა, ქართულ ენის სასწავლებელში მოქალაქეობრივი უფლება მოუპოვა, თვის მრავალ მოწაფეთ, ან უკვე ჭაღაროსანთ სამშობლო ენისა და ისტორიის შესწავლა-გავრცელების სიყვარული ღრმად გულში ჩაუნერგა, არა ერთ თაობას თვისი წარსულის თაყვანების ცეცხლი გაუღვია და ქართული ენის მოღალატე იყო?!

სამშობლოს განვლილ ჟამთა შესწავლის წარუხოცელი ძეგლი შეგვიქმნა, რომ მისგან შობილმა აწმყომ ბრწყინვალე მომავალი გვიშვას და იგი სამშობლოს მოღალატე იყო??

იგი ხომ ერთი პირველ მნათობთაგანია ჩვენის შავბნელით მოცული წარსულისა?!

და თუ ამისთანა მოღვაწე-მუშაკი, ამ ჩვენს გაორჭოფებულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სადაც უბრალო პაექარს უფრო დიდი გავლენა აქვს, ვიდრე დიდ მოქმედს თვის რწმენას,— სამშობლოს სასამსახუროდ თავგამოდებულთ, ქვა-გუნდას ვუშენთ და ჯვარს ვაკრავთ ხოლმე, ეს ჩვენი შეუგნებლობის, ჩვენი თავის **არ ცნობის**, ჩვენი გონებითი სიბეჩავის ბრალია...

ჩვენში ჯერ კიდევ არ არის ავისა და კარგის გარჩევა.. უბრალო სიტყვის კაცს, უბრალო მყვირალას უფრო დიდი სახელი აქვს, ვიდრე დამჯდარ გონებიანსა და ერის ბრწყინვალე მომავლისათვის იდუმლივ საქმით მომუშავეს...

თედო ჟორდანიამ ჩვენის უკუღმართი ცხოვრებისგან დაკისრებული ორი მძიმე უღელი ისე ჰზიდა, რომ მეორე უღელი მამულის სამსახურისა დაბლა არ დაუშვია, და ეს მომავალში უფრო გამოჩნდება, ოდეს დასცხრება გულისთქმანი წვრიმალ ადამიანთა,—მაშინ, როდესაც ჩვენი მომკალი თაობანი სიტყვას კი არა, **საქმეს მოგვთხოვენ— რა გააკეთეთო?**

ან მხოლოდ ჩვენი ძვირფასი თედო კი არ არის საგლოვი, არამედ ჩვენი საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ამისთანა ღვაწლ-მოსილ ადამიანთ ან ვერ ამჩნევს, ან განგებ ღირსეულად არ აფასებს...

ძვირფასო მასწავლებელო, მართალია, მე შენი პირდაპირი მოწაფე არა ვყოფილვარ, მაგრამ შენმა ნაშრომმა ჩემი ბედკრული სამშობლოს სიყვარულის ცეცხლი აღმიგზნო და მიკარნახა, ხელოვნების რაოდენი საუნჯეა დაცული ჩვენის ქვეყნის დანგრეულ ნაშთებში... ვითარცა ძველი ბრძენი, ჩაგვჩიჩინებდი გვეცნო თავი ჩვენი... მაგრამ ვაგლახ: ჯერ კიდევ ვერ გვიცვნია თავი ჩვენი.. აწ შენ, მდუმარებ: თვალით ვერ გვხედავ, ყურით ვერ გვისმენ, მაგრამ თუ სულსა შენსა შეუძლიან გაიგოს, შევავედრე ღმერთს, რომლის სუფევა შენ სასოებით გწამდა, და შესთხოვე, ეგოდენი ძალა მოგვეპოვებინოს, რომ თავი გვეცნოს: მაშინ შენც უფრო კარგად გიცნობთ...

შენს დევნილებშიაც არ ივიწყებდი: ჩვენი ქვეყანა რო გათვითცნობიერდება, ერთ პირს შენდობას მეც მეტყვის— ღმერთმა გაცხონოსო... მე მჯერა, რომ ეს ასე იქნება...

მშვიდობით: ნათელი იყოს ხსოვნა შენი!..

**იოსებ იმედაშვილი.**

## მოწოდება

### გორის სამეურნეო საზოგადოების წევრებს.

ახლანდელმა ომისაგან გამოწვეულმა კრიზისმა აიძულა ჩვენი გორის სამეურნეო საზოგადოება უფრო გაეფართოვებინა თვისი მოქმედება. საზოგადოების დაარსების დღიდგანვე დაიბადა სურვილი, რომ საზოგადოებასთან დაარსებულყო კოოპერატიული სექცია, რომელიც გასწევდა შუამავლობას მეურნესა და მომხმარებლის შუა და აგრეთვე ეცდებოდა მეურნე წევრთათვის მიეწვდინა ყველა ის აუცილებელი საგნები, რაც ესაჭიროება მას მეურნეობაში, მაგალითათ: სამეურნეო იარაღები, თესლეულობა ყოველნაირი, კაი ჯიშის საქონელი, ნამყენი, ბაღ-ვენახებისათვის საჭირო წამალი და ბევრი სხვა; მაგრამ საზოგადოება ქონებრივათ ღარიბია და ამიტომ ვერ შესძლებს ზემოაღნიშნულ მიზნების განხორციელებას.

საზოგადოების საბჭომ განიხილა რა ყველა ეს თავის კრებაზედ 13 ღვინობისთვეს 1916 წელს დაადგინა; გამოსცეს საზოგადოების სახელით პაიები თავის წევრთათვის. თითო პაი ეღირება 50 მანათი; ამ თანხიდგან უნდა მოეწყოს შემდეგი ოპერაციები: შეიძინოს გაზაფხულისათვის საბოსტნე და სხვა თესლეულობა, აგრეთვე გამოიწეროს საჭირო სამეურნეო იარაღები, და ბაღ-ვენახებში სახმარი წამლები გაასაღოს წევრების მოსავალი და იკისროს სხვა საშუამავლო ოპერაციებიც. ათი პროცენტი წმინდა მოგებიდგან რჩება გორის სამეურნეო საზოგადოების სასარგებლოთ, დანარჩენ მოგებას ანაწილებენ პაიების პატრონები როგორც უნდათ. პაიების პატრონები თითონვე ირჩევენ თავიანთ წრიდგან გამგეობას. ამ ახალ დაწესებულებას ეწოდება „კომერციული განყოფილება გორის სამეურნე საზოგადოებისა“ და იმუშავებს ავტონომიურათ. იმედია, გორის სამ. საზოგადოების წევრები მხარს დაუჭერენ ამ ფრიად სასარგებლო და სიმპატიურ საქმეს და შეიძენენ პაიებს. როდესაც საკმარისი თანხა შეიკრიფება საქმის მოსაწესრიგებლად მოწვეულნი იქნებიან პაიების პატრონები; დროებით კი პაიების შეკრეფას და გამგეობას კისრულობს გორის სამ. საზ. საბჭო. საჭიროა გორის სამ. საზ. წევრებმა წერილობით თუ სიტყვიერათ შეატყობინონ ამ საზოგადოებას თუ რადა რა სამეურნეო იარაღია მათთვის საჭირო, ან რა თესლეულობა მომავალი გაზაფხულისათვის და რამდენი.

გორის სამეურნეო საზოგადოების
**საბჭო.**

## დაბა-სოფლები

**სოფ. მარტყოფი** (თბ. მაზრა). სოფლის ახლო მახლო გზებზე ძალიან გახშირდა ძარცვა-გლეჯა. მცხოვრებლები დიდ შიშში არიან. უკანასკნელ გროშებსაც კი ართმევენ მგზავრებს. თუ მთავრობამ ყური არ უგდო ამ ამბავს, დიდ უბედურობას დააბრუნებენ როგორც სოფ. მარტყოფში, აგრეთვე ახლო-მახლო სოფლებში, მით უმეტეს, რომ სოფლებში ვაჟკაცები ძალიან შემცირებულნი არიან.

ამ თვის ცამეტში საღამო ხანზედ მისცვივნია ალაგობრივ მღვდელს ეპიტაშვილს რვა შეიარაღებული ყაჩაღი. როდესაც ისინი ადიოდნენ კიბეზედ, ზემო სართულში, ისინი შეუნიშნავს მღვდლის ცოლს და დაუძახნია მღვდლისთვის: ჩქარა კარი ჩაკეტე, ყიაცები მოდიანო. მღვდელს მოუსწრია და შიგნიდგან ჩაუკეტნია კარი თუ არა, კიდეც მისულან, მისწოლიან კარს და მოუთხოვნიათ კარის გაღება. მერე ჩაურბენიათ [illegible] რიათ თოფით მღვდლის [illegible] ალექსი ბანეთიშვილი, რომელიც თურმე ხალხს ეძახდა მოსაშველებლათ. ამავე ეზოში ცხოვრობს მამასახლისი, რომელსაც ამ ხმაურობაზედ გამოუხედნია კარებიდგან, შეუნიშნავთ და უთქვამთ: არ გამოხვიდე, თორემ გესვრითო. და გამგზავრებულან მომხმარებელი საზოგადოების მაღაზიისკენ— სადაც გაუტეხნიათ და გაუტაცნიათ 275 მან. ნაღდი ფული იმ დღის ნავაჭრი და საქონელი, რომლის რაოდენობაც ჯერ არ-არის ცნობაში მოყვანილი.

იმათ წასვლის უმალვე გამოსულა მამასახლისი და დაუნახავს ორღობის იქით ვენახში მდგომი მაღაზიის ყარაული კირეულიშვილი, რომლისთვისაც უთქვამს: კაცო, მანდ რას სდგეხარ, მაღაზიას სტეხამენო. პასუხი არ მიუცია. თუ გეშინიან, ქვევით მაინც გამომყევი, ხალხს შევატყობინოთ და ან თოფი მომეციო. არც გაჰყოლია, არც თოფი მიუცია. მამასახლისი მარტოკა წასულა კანცელარიისკენ. იქ დახვედრიან დუქანში ხიმშიევი, ლალიძე და სხვ., უთქვამს, ყაჩაღები მაღაზიას სტეხამენო. მაშინვე გაქცეულან ორნივე ერთად ხიმშიევი და ლალიძე და დაუწყვიათ სროლა რევოლვერებიდგან, მაგრამ პატრონები შემოჰკლებიათ და გამოქცეულან თოფებისთვის. ყაჩაღები გამოცვივნულან მაღაზიიდგან. ეს გულადი ვაჟკაცები რომ არ შეხვედროდნენ, სულ უფრო ძალიან აათხრებდნენ მაღაზიას. ყაჩაღები იქიდგან წასულან ქვევით სოფლისკენ. მისცვივნიან გლეხს არჩილ გუგუნოვს და მისთვინაც წაურთმევიათ ორმოცი თუმნამდინ და წასულან. როგორც გამოირკვა ამ საქმეში მონაწილეობა მიუღიათ მათთან ივით სოფლის ყარაულს, მაღაზიის ყარაულს და სხვ. ყაჩაღებს სოფლის ყარაულის თოფი და პატრანტაში ჰქონიათ, რაც დაამტკიცა არჩილ გუგუნოვმა, რომელსაც წაართვეს ორმოცი თუმანი. ისინი უკვე დაუჭერია მამასახლისსა და მათთან მედუქნე დათიკო ოროჟანდოვი, რომლის დუქანშიაც პური უჭამიათ და სადაც მისულა ყარაული.

დატუსაღებულები მამასახლისს წარუდგენია ბოქაულთან. №.

## პასუხად ბ-ნ „ლეგატუს“

თქვენს პატივცემულ გაზეთ „საქართველოს“ 191 №-ში მოთავსებულია წერილი ამ სათაურით „სოფლად“. ამ კორესპოდენციაში პატივცემული ავტორი ეხება წინამძღვარიანთ-კარის სკოლას, რომელიც მას დაუთვალიერებია და მის დაქვეითებაზე მოგვითხრობს; ამის დასამტკიცებლად მოჰყავს შემდეგი „საბუთები“:

„სკოლის დათვალიერების დროს უფროსს კლასების სადგომში „ცხვრის ცურცლი დავინახეო“.—რა თქმა უნდა ეს არა სასიამოვნო მოვლენაა,—მართლაც ჩემი აქ (სკოლაში) არ ყოფნის დროს სკოლის კარები დარჩენიათ დაუკეტავი; დაუპატრონებელი სტუმარი—პირუტყვი შესულა შიგ და თავისი უსუფთაობის ბეჭედი დაუსვამს. როგორც გადმომცეს, კორესპოდენტი ბრძანებულა აგრეთვე სხვა ოთახებშიაც, სადაც, ვფიქრობ, უსუფთაობას ვერ შენიშნავდა; პირიქით, მიუდგომელი კორესპოდენტი სწორედ სისუფთავეს და წეს-რიგს აღნიშნავდა სხვა ოთახების დათვალიერების ჟამს; მაგრამ საკმაო იყო ბ-ნ „ლეგატუსისთვის“ ერთ ოთახში ნახული უსუფთაობა მუდმივ მოვლენად გამოეცხადებ-ა გაზეთის ფურცლებზე. მიუდგომელი კორესპონდენტი, ვიმეორებ, შემთხვევითი ხასიათის უსუფთაობას გაარჩევდა მუდმივი უსუფთაობისაგან. ვარწმუნებ ბ-ნ კორესპოდენტს, რომ ამ ზაფხულს არაერთს და ორს საზოგადო მოღვაწეს და სკოლის გულ-შემატკივარს დაუთვალიერებია ჩვენი სკოლის შენობები და სიამოვნებით აღუნიშნავს როგორც ყველა შენობების საფუძვლიანობა და სიმშვენიერე, აგრეთვე წიგნთ-საცავის სიმდიდრე, სადაც ყოველივე დარგის ლიტერატურა მოიპოვება. ხალისიანათ დაუთვალიერებიათ აგრეთვე საფიზიკო კაბინეტი და მუზეუმი. ამასთანავე მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილება მოუხდენია მათზე საბავშვო თეატრის დათვალიერებას თავისი წყობილებით და დეკორაციებით, სადაც დრო-გამოშვებით წარმოდგენები და „დილა“ იმართება მოწაფეების მონაწილეობით...

ერთი კვირით ადრე, სწორედ იმ ოთახში (შემდეგ ბიბლიოთეკაში), სადაც უსუფთაობა დაუნახავს ბ-ნ „ლეგატუსს“ ბრძანდებოდა პატივცემული პედაგოგი და სკოლის გულშემატკივარი ლ. ბოცვაძე და არაფერი მაგის მზგავსი არ დაუნახავს,—ამით ვამოწმებ ერთხელ კიდევ, რომ ის „უსუფ-

თაობა“ იყო შემთხვევითი და არა მუდმივი.

შემდეგ ბ-ნი „ლეგატუს“-ი თავისს წერილში აღნიშნავს, რომ სკოლის გამგეს და მასწავლებლებს შორის უთანხმოება სუფევსო. ამის თქმა სიმართლეს მოკლებულია. მათ შორის ძლიერ კარგი განწყობილება არსებობს... როგორც ვხედავთ, თვით ბ-ნი „ლეგატუსს“ ცნობები შეუმოწმებლად შეუკრებია არა საიმედო წყაროებიდან... დასასრულ, უნდა მოვახსენო ბ-ნ „ლეგატუსს“, ექვსი წელიწადი შესრულდა, რაც ამ სკოლაში ვმასწავლებლობ; ვერც ამ სკოლის ყოფილი გამგენი, ივანე დავითის ძე მაღალაშვილი და არსენ წითლიძე და ვერც მათთან ნამსახურნი მასწავლებელნი ვერ იტყვიან, რომ ერთხელ მაინც შეურიგებელი ხასიათი გამომეჩინოს ამხანაგებთან; 4 წელი ვიმსახურე აგრეთვე სამინისტროს სკოლებში მასწავლებლის თუ გამგეს თანამდებობაზე და არც ერთი მომდურავი ამხანაგი არ მყოლია, დღესაც ასე ვგრძნობ თავს... და თუ მოვალეობის ასრულების დროს აქვს ადგილი შენიშვნებს,—სკოლის საკეთილდღეოდ გამოწვეულს, ეს სრულიად არ ნიშნავს უთანხმოებას; უამისოთ მე მუშაობა ვერ წარმომიდგენია..

სარდაფში ღვინო მართლაც გვაკლია. და ამის შესახებ უკვე დიდი ხანია ზომებიც არის მიღებული და მალე, იმედია, სარდაფის საქმეს სრულიად გამოვარკვევთ. რაც შეეხება ფერმას, მას წელს დამუშავება აკლია და, სამწუხაროდ, როგორც კი თვით კორესპონდენტი გადმოგვცემს, განსაკუთრებით კი ეს ვაზიანს ემჩნევა; ფერმას ჰყავს თავისი ხელმძღვანელი, სპეციალისტი მასწავლებელი, რომლისგანაც მიღებულია ღონისძიება ფერმის გასაუმჯობესებლად.

ქვევით კიდევ ბ-ნი „ლეგატუს“ მოგვითხრობს: სკოლის საზაფხულო ხილს ყიდულობდნენ, მაგრამ სკოლის გამგემ თავის დროზე არ მიჰყიდა და ხელიდან გამოეცალაო“. ამაზე უნდა მოვახსენო ბ-ნ ლეგატუსს, რომ ის დიდ შეცდომაში შეუყვანია ამ ამბის უკუღმა გადმოცემას. ჩვენის სკოლის მზრუნველის სურვილი იყო და მან წინადადებაც მომცა, ხილი გასასყიდად ქალაქში ჩაგვეტანა. ამ სურვილს ბ-ნი ი. წინამძღვრიშვილი ასაბუთებდა ამ მოსაზრებით: რადგანაც სკოლას აქვს საკუთარი ურემი და ჰყავს ხარები, უმჯობესი იქნება აქ (ქალაქში) ხილის ჩამოტანა და გაყიდვაო... პირველად შემოვიდა ბალი; გაჩნდენ ბაყლებიც; ფუთში შემოგვაძლიეს 1 მ. 20 კ. თუ 1 მ. 50 კ., მაშინ, როდესაც ბალი ქალაქში გაცილებით მეტ ფასებში იყიდებოდა; გადავწყვიტეთ ბალი ქალაქში ჩაგვეტანა, ჩვენის ურმით; დავამზადეთ ყუთები, და მეც თან გავყევი ჩვენს მეურმეს ბალის გასასყიდათ. ფუთი 5—6 მანეთად, გავყიდეთ ამნაირად, 5 პატარა ყუთიდან ავიღეთ 100 მანეთამდე, მაშინ, როდესაც ადგილობრივ უნდა გაგვეყიდა 25 მანეთად.

ნუ თუ საყვედური ეკუთვნის სკოლის გამგეს, რომ მან 25 მანეთის ნაცვლად სკოლის საქონელი 100 მანეთად გაყიდა?!!

ვიმეორებ, სკოლის გამგეს არავისთვის დაუშლია ხეხილის გაყიდვა, რასაც დაამოწმებს ყველა ამ სკოლის მასწავლებელი და თვით ფერმის ხელმძღვანელი ს. გურჯანიძე. პირ-იქით, ფერმის ხელმძღვანელს კი გამგეს დაუკითხავათ გაუყიდნია ბალი, თუ სხვა ხილი.

რაც შეეხება ბ-ნ „ლეგატუს“ მიერ გამოთქმულ აზრს: „ვინც ამ სკოლაში მასწავლებლობდა, ყველა გამდიდრდაო“ და მათ გამდიდრების თეორიას სკოლის ბაღის შემოსავალს უკავშირებს,—აი რა უნდა მოვახსენო: ყველა ამ სკოლაში ყოფილ მასწავლებლის შესახებ ლაპარაკი ჩემთვის არავის დაუვალებია; შევნიშნავ კი, რომ ამ სკოლაში 33 წლის განმავლობაში 60-ზე მეტი მასწავლებელი ყოფილა და დაუჯერებლად მიმაჩნია, რომ არც ერთი მათგანი რიგიანი ადამიანი არ ყოფილიყოს და ერთი ჯოხით გასარეკი!

საუკეთესო სახალხო მასწავლებლებს ამ სკოლაში ულვაწნიათ და ბევრს მათგანს ღირსეულადაც სჭერია თავი და დღესაც აქედან წასულნი მასწავლებელნი განაგრძობენ მოღვაწეობას საზოგადოებრივ ასპარეზზე.

დასასრულ, უნდა მოვახსენო ბ-ნ „ლეგატუსს“, რომ სკოლის დაქვეითებაზე ბრძანებს და ჩვენს სკოლას კი სუსტად იცნობს, სკოლაში 140 მოწაფე სწავლობსო. სწავლობს 150 მოწაფე და მეორე ის, რომ რისთვის მაინც არ ჩააფიქრა ამ რიცხვმა ბ-ნ კორესპონდენტი, როდესაც სკოლის დაქვეითებაზე ლაპარაკობდა; ნუ თუ ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნია მას დუშეთის მაზრაში და ისიც სოფელში ამ რიცხვის არსებობა.

წინამძღვარიანთ-კარის სკოლამ მიიზიდა საქართველოს სხვა და სხვა კუთხის მოწაფეები; ადგილობრივ მოწაფეთა რიცხვმა ხომ ერთი ათად იმატა... ამ საქმეში დიდი შრომა და ღვაწლი მიუძღვის ჩემს წინამოადგილეს ბ-ნ არსენ წითლიძეს, რომელმაც თავისი დაუღალავი ენერგიით შესძლო სკოლის სასურველ ნიადაგზე დაყენება... ავიღოთ 6 უკ. წლის ანგარიში.

1911 წლამდე მოწაფეების რიცხვი ამ სკოლაში არ აღემატებოდა 70-სა, ეხლა კი 150.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1911 | წ. | სკოლა | დაასრ. | 5 | მოწაფემ. |
| 1912 | „ | „ | „ | 6 | „ |
| 1913 | „ | „ | „ | 8 | „ |
| 1914 | „ | „ | „ | 12 | „ |
| 1915 | „ | „ | „ | 15 | „ |
| 1916 | „ | „ | „ | 21 | „ |

ნუ თუ ეს თანდათანობით ზრდა მოწაფეების რიცხვისა არაფერსა ნიშნავს? მე კი ვფიქრობ ეს მკვდარი ციფრები მჭერ-მეტყველურად სკოლის სასარგებლოდ ლაპარაკობენ.. შეიძლება ბ-მა „ლეგატუს“-მა ამის შემდეგ მიპასუხოს: მართალია, რიცხვი მოწაფეებისა მატულობდა, მაგრამ სათანადო მომზადება არა ჰქონდათო. ამაზე აი ჩემი პასუხი:

ყველამ ამ წლებში კურს დამთავრებულმა მონახა გზა და კარგადაც მოეწყო: ზოგი მათგანი (ვისაც საკუთარი მამული ჰქონდა) თავიანთ კერას დაუბრუნდა და მამულის გაუმჯობესობას შეუდგა, ზოგი სხვის მამულში მუშაობს და ღებულობს კარგს გასამრჯელოს, რიგი კი სასწავლებლებში დაბინავდა; არც ერთს მათგანს მეურნეობისათვის ზურგი არ შეუქცევია... თუ მოწაფეების მომზადება გაინტერესებთ, შებრძანდით, ვინოგრადოვის საპოლიტეხნიკო კურსებზე და იკითხეთ ჩვენი სკოლიდან წასულ მოწაფეების ავ-კარგიანობა.

კეთილ ინებეთ და ინახულეთ აგრეთვე იქავე კურსების ხელმძღვანელი დირექტორი ი. ე. გამყრელიძე, რომელიც ხშირი სტუმარია ჩვენის სკოლისა და ყოველ წლივ ესწრება გამოცდას ყველა განყოფილებაში... პატივცემული ბ-ნი ი. ე. გამყრელიძე კარგად იცნობს ჩვენის სკოლის ღირსება-ნაკლულევანებას.

წელს ორმა ჩვენმა მოწაფემ ჩაუსწრო ნიკიტის სამეურნეო სასავლებლის მისაღებ გამოცდას და ორივე მიღებულ იქმნა კარგ მოწაფედ, დანარჩენნი-კი (რომელთაც ვერ ჩაუსწრეს გამოცდას) ჩარიცხულნი იქმნენ იქვე „პრაქტიკაზე“... ერთს მათგანს, წელს კურს დამთავრებულს, ინსტრუქტორის თანაშემწეს ადგილი მისცეს; დანარჩენის შესახებ ცნობები არ მამიღია...

განა ყველა ეს სკოლის წინმსვლელობას არ ნიშნავს?!! მე ამ წერილში სრულიად იმის თქმა არ მინდა, თითქო აქ ყველაფერი რიგზე იყოს და არავისგან შენიშვნას არ ვღებულობთ, პირიქით, დიდის სიამოვნებით მოვისმენთ ყოველსავე საფუძვლიან შენიშვნას.

წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლის გამგეს მოადგილე

**ნ. ძიძიგური.***)

*) ბ. ძიძიგურის ამ წერილში გამოთქმულ აზრს იზიარებენ წინამძღვარიანთ-კარის სკოლის მასწავლებელნი: მღ. ი. ლუკაშვილი, ს. გურჯანიძე და ივ. ხელაია.

## წერილი რედ. მიმართ

**ბ-ნ იაგუნდის საპასუხოდ.**

„სახალხო ფურცლის“ მე-688 ნომერში ქ. ოზურგეთიდან ბ-ნი იაგუნდი სწერს: „სამშობლოს“ უკანასკნელ კვირის №№-ში მუმლაძემ გამოამზეურა ის ბოროტმოქმედება, რაც ოზურგეთის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში ხდებოდა“. ეს სიმართლეს არ შეესაბამება და მე, როგორც ხსენებულ ბანკის დირექტორი, ვალდებული ვარ სიმართლე აღვადგინო და ჩვენი საკრედიტო დაწესებულების პრესტიჟი უმართლოდ არავის შევალახვინო. თვით ბ. მუმლაძე (იხ. „სამშობლო“ №№ 437 და 439) ბანკში მომხდარ ბოროტმოქმედებაზე არ ლაპარაკობს და მიკვირს, ბ. იაგუნდი რას ემყარება. ბ. მუმლაძე თავის წერილში ეხება მხოლოდ და მხოლოდ ბანკის გამგე-თავმჯდომარე ბ. ალ. გ. კალანდაძისა და ბანკის მოლარე ბ. დ. მურვანიძის პიროვნებას და ეს ორი პირი გამოჰყავს ბანკის მავნე პირებად. ბ. კალანდაძემაც ბ. მუმლაძის წერილში პირადი შეურაცხყოფა დაინახა და პირადად გაუსწორდა. ბანკში რომ რაიმე ბოროტმოქმედებას ჰქონოდა ადგილი, მაშინ ბ. მუმლაძე ერთ-ორ პირს კი არ შეეხებოდა, არამედ ბრალს დასდებდა ბანკის საბჭოს, მთელ გამგეობას და ბანკის წევრებს. საბჭო ბანკის უმთავრესი ორგანოა (საზოგადო კრების შემდეგ), რომელიც ვალდებულია, ბანკის ყოველივე ნაკლი ოქმში აღნიშნოს ხოლმე, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა და ოქმში არავითარი ბოროტმოქმედება არ არის მოხსენებული. ერთ კაცს კი, თუ გინდ ის გამგე-თავმჯდომარეც იყოს, იქ, საცა კოლეგიალური დაწესებულებაა, თავისთავად არავითარი უფლების გადაჭარბება არ შეუძლია. მაშასადამე, ბ-ნ კალანდაძეს, ძლიერაც რომ სურვებოდა ბ.ბ. ხუნდაძის ბანკის წევრად არ-მიღება (როგორც ბ. იაგუნდი ბრძანებს), მას მხოლოდ ერთი ხმა ჰქონდა, ეგ მას არ შეეძლო. ბანკის წევრთა მიმღებმა კომიტეტმა ბ. ხუნდაძე წევრად ერთხმად მიიღო. ბ. იაგუნდი აქაც სიმართლეს ღალატობს. იაგუნდი ბრძანებს, რომ მუმლაძე ბანკში მსახურებდა, მაგრამ „ვირს პატრონის ჩიშის“ ეშინოდა და ამიტომ ბანკში ყოფნის დროს იქ მომხდარი ბოროტმოქმედება შიშის გამო ვერ გამოამჟღავნაო“. იაგუნდის მიერ ბოძებული ატესტაცია ბ-ნ მუმლაძეს, არა მგონია, ესიამოვნოს. ცხადია, გაბედული მოქალაქე და მასთან ბანკის მსახური, ვალდებული იყო, თუ რაიმე ბოროტმოქმედებას ხედავდა, მაშინვე ეყვირა, მაგრამ როცა ბოროტმოქმედება არ იყო, რას გამოამჟღავნებდა! ვთხოვ ბ-ნ იაგუნდს შემდეგში მეტი მიუდგომლობა გამოიჩინოს.

ოზურგეთის საურთიერთო ნდობის საზ. გამგეობის წევრი

**რუბენ ლ—ძე ჩხაიძე.**

—

ბ. რედაქტორო! გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთ „საქართველოში“ ამ მცირე შენიშვნას ადგილი დაუთმოთ.

„საქართველოს“ 230 ნომერში (ლვინობისთვის 16) დაიბეჭდა წერილი ამ სათაურით: „შინაური მტრები“, ბ-ნ ანანიას ხელმოწერილი. ავტორი მოგვითხრობს, რომ ეგზარხოსს პიტირიმს სურდა სიონის ტაძარში ქართული გუნდი დაეარსებინა და წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე გაეჩაღებინა. მაგრამ სიონის ზოგიერთს კრებულთაგანს ეს აზრი არ მოსწონებია და ეგზარხოსისათვის ვითომც ეთქვასთ: წირვა-ლოცვას სიონის ტაძარში ქართულ ენაზე ნუ დააწესებთ, კრებული სიმშილით ამოიხოცება, თუ სლავიანურ ენაზე წირვა-ლოცვა შესწყდებაო.

უნდა მოგახსენოთ, რომ სიონის ტაძარი უმრევლო ეკლესიად ითვლება. მას მისაკუთრებული მრევლი, როგორც სხვა ეკლესიებს, არა ჰყავს. სიონში სალოცავათ შემოდიან ქართველებიც რუსებიც და სომხებიც კი. შემოსავალი მეტად მცირეა. წელიწადში თითო მღვდელს 25—30 **მან. თუ ერგება.** სხვა წევრებს—მთავრებს და მედავითნეებს უფრო ნაკლები. აი ჩვენი შემოსავალი წლითი-წლობით. თუ ამ მხრივ შევხედავთ საკითხს, სიონის კრებულს სრულებითაც არაფერი დააკლდება, სიონში, რომ წირვა-ლოცვის შესრულება მარტო ქართულ ენაზე დაწესდეს და რუსებმა შესწყვიტონ სიარული

რადგან ჩვენ, სიონის კრებულის წევრნი—ქართველნი, დიდად შეურაცყოფილად ვსთვლით თავს, ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ბ. ანანია დაგვისახელებს იმ ულირსს ადამიანს, რომელმაც გაბედა სიონის ტაძარში ქართულ წირვა-ლოცვის შოსპობა.

თბილისის სიონის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი

**მარკოზ ტყემალაძე.**

—

ბ-ნო რედაქტორო!

დიდის თხოვნითა გთხოვთ მოათავსოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ეს ჩემი განცხადების მსგავსი წერილი:

ჩემი ერთად ერთი ვაჟიშვილი, ზაქარია (შაქრო) აფშინაშვილი, ირიცხებოდა მე-221 სათადარიგო ბატალიონის მე-6 როტაში. ეს ბატალიონი მოქმედებდა შავის ზღვის ნაპირებზე ტრაპიზონის მიმართულებით. რაკი ჩემი შვილისაგან მაისს შემდეგ წერილი აღარ მოვიდა, ეჭვი შემეპარა მის უჭირველობაში. ამიტომ მივმართე ბატალიონის უფროსს შეეტყობინებინა ჩემთვის ჩემი შვილის ავი და კარგი. ბატალიონის უფროსმა ჩემს შეკითხვაზე მომწერა:

Охотникъ Захарій Апшинашвили находился въ 6-й ротѣ на позиціи и во время боя съ турками 9-го іюня с. г. безъ вѣсти пропалъ.

მე არ ვიცი, უამბოდ, უკვალოდ ან უგზოდ როგორ იკარგებიან მეომრები, სულ იმედი უნდა გადაიწყვიტოს პატრონმა, თუ ჰქონდეს იმედი, რომ ცოცხალი აღმოჩნდეს დაკარგული? მე ვიცი რომ თქვენს გაზეთს ბევრი მეომარი კითხულობს. ამიტომ შესაძლებელია, ეს ჩემი წერილიც ნახოს რომელმამე მეომარმა, მონაწილემ იმ ბრძოლისა, რომლის დროსაც დაიკარგა ჩემი შვილი; შეიძლება ეს პირი ახლოც იცნობდა მას, ან კიდევ ძალიან ახლო დაესწრო მის დაკარგვის ამბავს და იცოდეს ჭეშმარიტად და დანამდვილებით მისი სიკვდილი ან სიცოცხლე: აი ამგვარ პირს ვთხოვთ გულდამწვარი მშობლები დაკარგული ერთად-ერთი ვაჟიშვილისა შეგვატყობინოს ყოველივე, რაც იცოდეს მის შესახებ, გაზეთით ან, რაც უფრო სამჯობინოა, კერძო წერილით და ამით საუკუნოდ დაგვავალოს.

ჩემი მისამართი: Сел. Кахи, Закатальскій округъ, учителю Григорію Апшинашвили.

ვთხოვ „სახალ. ფურცელსაც“ გადაბეჭდოს ეს წერილი.

პატივისცემით **გრ. აფშინაშვილი.**

## შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ №-ში მეოთხე გვერდზე: „ქართველ მუსულმანებს მივხედოთ“, დაბეჭდილია „ქალბატონიზა“, უნდა იყოს **ქალბალანაიზა.**

რედაქტორ-გამომცემელი
**ხანდრო შანშიაშვილი**


## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

**მატარებლების მიმოსვლა**

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 | საღ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | | № 4, | 8 „ 53 „ | დილ. |

**თფილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 | საღ. |
| თელავიდან | | № 3, . 6 „ | 24 „ | საღ. |

## სუსუნატი

ვისაც სურს ერთხელ და სამუდამოდ განიკურნოს იმ ავადმყოფობისაგან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი თავიდან მოშორება შეიძლება **სუსუნატის** წამლით პირველ-ხარისხოვანი „**გონოზანით**“. ეს წამალი სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველებულ სუსუნატს. საშვალება **ნაცადია ტფილისის, რუსეთისა და საზღვარგარეთელ ექიმებისა და პროფესორების** მიერ და აღიარებულია საუკეთესო წამლად სუსუნატის მოსარჩენად.

**ჩვენი გარანტია.**

**თუ თქვენთვის ეს საძნელო არ იქნება, გთხოვთ შეეკითხოთ რომელსაც გსურთ ექიმს** ჩვენს აბებზე და ის აუცილებლად აგიხსნით, რომ ეს აბები საუკეთესო და რადიკალური საშვალებაა. საშვალება ერთნაირად ნაცადია მამაკაცებზეც და ქალებზეც. მაშ, ნუ ხარჯავთ დიდ ფულს უშედეგო წამლობაზე, რადგანაც 3 კოლოფი და სამი შუშხაპუნებით რომელიც წამალთან არის ერთად, სავსებით ჰკურნავს ავადმყოფს ამ მძიმე სენისაგან.

ერთი კოლოფი აბებისა ღირს 4 მან. და 3 შუშა შეშხაპუნებული ღირს ცხრა მან. სხვა ქალაქებში გაიგზავნება 3 მანეთის მიღების შემდგომ.

მიწერ-მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ **რ. შმიდტ** თბილისი, თხინვალის ქუჩა № 12 отд. 3. მახლობლივ გოლოვინის პროსპექტისა და მეჯავის ქუჩის.

Р. Шмидтъ, Тифлисъ, Тхинвальская ул. № 12 отд. 3.

პირადად ნახვა შეიძლება 2—5 საათამდე. წამალი იყიდება მთელი დღე. —300—

## თუ გსურთ,

**რემინგტონზე რისამე დაბეჭდვა,**
**რემინგტ. სწავლა ამერიკ. წესით,**
**საქმის ქაღალდის დაწერა,**
**თხოვნების შედგენა,**
**საქმის და თხოვნის წარმოება,**
**ცნობების შეკრება,**
**მოსამსახურის შოვნა,**
**საკომისიო მინდობილობა,**
**ბინის გაქირავება,**
**ბინის შოვნა,**
**მამულის სყიდვა,**
**მამულის გასყიდვა,**
**მამულის დაგირავება,**
**მამულის იჯარით გაცემა და სხვ.**

## მიმართეთ
### ცნობის კონტორას
## ი. თ. გვათუასას

თბილისი, ვერის დაღმართი, სახლი მელიქ აზარიანისა № 1

**შუამავლობას ეს კონტორა გასწევს როგორც ქალაქელთა ისე ქალაქ გარეშელთათვის.**

ყველა საქმეს კონტორა სწრაფლ და პირნათლად ასრულებს.

**ხელმისაწვდომ ფასებში**

**მისამართი პროვინციელთათვის:** Тифлисъ, Верійск. спускъ И. Т. Гватуа, Справочная контора.

## საუკეთესო კახური
## ღვინის საწყობი
## ადამ ზურაბის ძის
## ბერელაშვილისა

**მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.**

(102—წ.)

**გამოიცა და იყიდება**

## კ. ოცხელის და ამხ. წიგნის მაღაზიაში

(ქუთაისში)

რუსული ენის პირველ დაწყებითი სახელმძღვანელო „Новое Слово“ ნაწ. I, მეორე გამოცემა. უხვად დასურათებული, შედგენილი **ს. ოცხელის** მიერ. ფ. ყდით 2 აბაზი.

ამ წიგნის პირველ გამოცემას თითქმის ყველა ქართული პერიოდული გამოცემა (გარდა ჟურნ. „განათლებისა“) თანაგრძნობით შეხვდა.

პრაქტიკის მქონე მასწავლებლები გამოცდილების შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ „Новое Сслово“-თ სწავლებით მოწაფეები არაჩვეულებრივი ხალისით და წარმატებით ითვისებენ რუსულ ენას.

სასწავლო ოლქმა თანახმად მზრუნველის რჩევის დადგენილებისა ავტორს აცნობა ოლქის რეცენზენტის აზრი, სადაც სხვათა შორის ნათქვამია: Способъ разучиванія матеріала, предложенный составителемъ „Новаго слова“ имѣетъ несомнѣнныя достоинства, н умѣлое пользованіе имъ значительно оживитъ преподаваніе, а равно и усвоеніе дѣтьми русскаго языка... „Новое слово“ можетъ быть признано вполнѣ подходящимъ руководствомъ для грузинскихъ народнихъ школъ“.

(თ.—225—25)

**ხილეული, მადნეული წყლის** მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: **მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე ლაღიძის** და ამხ-ს კარხნის **საუკეთესო ხილეულ მადნეულის ნამდვილი სამკურნალო** წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გაზშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების **ყალბი** ეტიკეტების მიმსგავსებით **ნამდვილი ლაღიძის** წყლის ეტიკეტის ნიშანი შემდეგია




ქათრთულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო **სამრეწველო მინისტრის** მიერ პეტროგრადში ⁊ თვით პრობკებსაც აწერია

„ლაღიძის წყალი“

**მხოლოდ და მარტო ლაღიძის** წყალია მომზადებული **სრულიად** უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე

**სუნი და გემოც საამური აქვს** წლ.

**ქ. თბილისში, ოლგას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა ⁊ წიგ. მაღაზია**

## „განათლება“-ში

**იყიდება** ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის კარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.

პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „საქართველო“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „სახალხო ფურცელი“, „ზვირთი“, ჟურნ. „განათლება“ კავკაზსკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ბათაბალა“.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: **Тифлисъ** почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Тавартkиладзе.

ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Тавартkиладзе.

## თევზის მრეწველნი
## ძმ. ძეგველოვები

**კუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

**ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „დ. მაილოვის-შვილ“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა,** მცირე მარილიანი, **შავი „ოშეტრინა“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი** მტკვრის ზუთხი, თართი, **ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული** ყოველგვარი **კონსერვები და სარდინკები** რუსეთის და საზღვარ-გარეთის; ფირმენული ხანგრძლივ ინახება.